საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

# ერთობა

პარასკევი 6 აგვისტო 1920 წ.

ფასი 5 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 125 მანეთი. ცალკე ნომერი ფასი 5 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 10 მანეთი, მეოთხე გვერდზე 6 მანეთი. საძვლიარო განცხადება ნეკროლოგი ხაზის (15 × 2) 200 მანეთი. ნიშანი განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩიდ № 18-თან. ტელეფონი 16—62.

№ 176 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 176

საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის
ცენტრალური კომიტეტი
მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული.
შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79

8 აგვისტოს დილით კვირას, ქუთაისში საფირჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

**ბახვა ფიფიას**

სულის მოსახსენებლათ, რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მეუღლე ათანია, შვილები: ლიზა, ნინო, გიორგი, ელენე და სიძე პავლე არაჩემია. (2527 2—1)

გულდათუთქულნი და მუდამ მტირალნი: დედა პუპი თავართქილაძე-გიგინეიშვილისა, ძმა არტემ გიორგის ძე გიგინეიშვილი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ჭპრაში ბრბოებთან შეტაკების დროს დაღუპულის ლეიტენანტის

**შალვა გიორგის ძე გიგინეიშვილის**

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დანიშნულია 7 ამ თვეს დილით შაბათს სოფ. ჯურუყვეთში, (გურია) წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში პანაშვიდი შუადღის 12 საათზე. (2558 1—1)

გულდათუთქულნი: ვალერიან (ვალიკო), მიხეილ ერმილეს ძენი, ვასასი გრიგოლის ასული და ვერა პლატონის ასული ჯაფარიძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს 7 აგვისტოს გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი სოფ. სხრტში (რაჭა) ტრაღიკულად დაღუპულ პირველის საყვარელ მეუღლის და დანარჩენის ძვირფასი რძლის

**ბარბარე (ვარო) ნიკოლოზის ასულის ჯაფარიძისა**

სულის მოსახსენებლად. (2557 1—1)

უზომოთ დამწუხრებულნი მშობლები სიმონ გაბრიელის ძე და ლასიონ არსენის ასული, ძმა დიმიტრი (ბიჭიკო), დები: ელენე (შაშულია), ჩიტო, ნადი და ლიუსი უსაზღვრო მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ კვირას, 8 მარიამობისთვეს ზემო ჩიბათის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი უდროვოთ დაღუპულის მათთვის ძვირფასი

**შოთა სიმონის ძე ჯორბენაძის**

სულის მოსახსენებლად. (2560 1—1)

ქვრივი პელაგია სიმონის ასული, შვილები: ანდრია, ნიკო, მოსე, კირილე, ეფროსინე, ნინა თამარა და ქეთო, ძმები: იოსებ და ალექსანდრე, და მარიამ ხახულის ასული, რძალი დარია გიორგის ასული აბაშიძეები აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ შაბათს, 7 მარიამობისთვეს, სავანის წმინდა გიორგის ეკლესიაზე გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი მათთვის საყვარელ და დაუვიწყარ პირველის მეუღლის და მულის, მეორესი მამის და მამიდის, მესამე სამის ძმის და დის, მეოთხესი მაზლის და მულის

მღვდ. **ზაქარია ხახულის ძის**

და

**მატრონა ხახულის ასულის აბაშიძეების**

სულის მოსახსენებლად, წირვა დაიწყება 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე. (2563—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი იესე ალექსანდრეს ძე ბარათაშვილი, ნინო ივანეს ასული, კონსტანტინე იოსების ძე და ვიქტორ—იასონ კონსტანტინეს ძე სვიმონი შვილები, ანასტასია ალექსანდრეს ასული და ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ბარათაშვილები აუწყებენ, ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 8 აგვის., ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, დილის 10 საათ. გადახდილ იქნება ექვსი თვის წირვა და პანაშვიდი 11 1/2 საათ. (იქვე ეკლესიის სასაფლაოზე) მათთვის დაუვიწყარის და ძვირფასის პირველის მეუღლისა, მეორის და მესამის ქალიშვილისა, მეოთხის დისა, მეხუთის და მეექვსის რძლისა

**ელენე კონსტანტინეს ასული ბარათაშვილის**

სულის მოსახსენებლად. (2566—3—1)

**9 მარიამობისთვიდან თფილისში გამოვა**

ყოველკვირეული, საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

**„სოფლის მუშა“**

ორგანო საქართველოს სოც. დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა

**გაზეთი გამოვა ორშაბათობით**

მასალები უნდა გამოგზავნილ იქნეს გაზ. „ერთობის“ სახელზე—თფილისი, ერთობის ქუჩა 4, „სოფლის მუშისათვის“.

სარედაქციო კოლეგიაში შედიან: ალ. ლომთათიძე. ივ. გომართელი. სტ. ელიაძე.

**ქ. ხაშური.**

**კვირას, 8 აგვისტოს**

ხაშუადღევის 3 საათზე, მოწვეულია ს. ს. დ.-მ. პ. ხაშურის ორგანიზაციის წევრთა საზოგადო კრება. დღიური წესრიგი: განხილვა და დამტკიცება მთელი წლის კომიტეტის მოქმედების, არჩევა ახალი კომიტეტის, არჩევა სარევიზიო კომისიის და მიმდინარე საკითხები. კრებაზე დაუშვებენ მხოლოდ იმ ამხანაგებს, რომელთაც ხვედრი საწევრო გადასახადი აქვთ შეტანილი კომიტეტის სალაროში. წევრებმა საწევრო ბილეთები უნდა იქონიონ თან.

(ფ. 2—1) ს. ს.-დ. მ. პ. ხაშურის ორგანიზაციის კომიტეტი.

**საყურადღებოთ.**

**დავით იაგორის ძე კალანდაძე**

**აცხადებს რომ სავაჭრო სახლის ძმ. სეილანოვების**

[illegible] (2513—6—3)

**ქიმიურის სრულ უფლებიანი მიმხანა**

იწვევს შემდეგ საგნების მასწავლებლებს: 1) ქართული ენისას (20 გაკ. [illegible]), 2) რუსული ენისას (20 გაკ. [illegible]), 3) მათემატიკის (22 გაკ. [illegible]).

**ჯამაგირები როგორც სახელმწ. გიმნაზიებში ყველა % დამატებით**

თხოვნები და მოკლე curriculum vitale უნდა გამოგზავნონ ქ. [illegible] (2551—2—1)

**ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში**

[illegible]

**20 ივლისიდან 1 ენკენისთვემდე.**

1) ხიმიური, 2) მეტრიკული, 3) სამხედრო [illegible] (2540—3—2)

**საქართველოს რკინის გზის სამმართველო**

[illegible] 1920 წ. 15 აგვისტომდე [illegible] (ნ. 3—2)

**თელავის სამაზრო ერობის გამგეობა**

ამით აცხადებს, რომ მიმდინარე წლის 15 სექტემბრიდან თელავის წმ. ნინოს გიმნაზიასთან არსდება სამასწავლებლო წლიური კურსები. კურსებზე მსმენლად მიიღება 4 კლ. კურს დამთავრებული. მსურველებმა თხოვნა საბუთებით უნდა გამოგზავნონ სამაზრო ერობის სასკოლო განყ. სახელზე არა უგვიანეს 10 სექტემბრისა.

თელავის ერობის გამგეობა. (2537—3—2)

## სომხეთის ტრაღედია.

სომხეთის მდგომარეობა დღითი-დღე სულ უფრო და უფრო ტრაღიკული ხდება. კომუნისტების მოქმედებას არსად არ გამოუაშკარავებია თავისი არსებითად იმპერიალისტური წმინდა მტაცებლური ბუნება ისე, როგორც სომხეთის მიმართ. მაგრამ ეს მტაცებლობა არსად არ ყოფილა ისე თვალთმაქცური, ისე უტიფარი, როგორც აქ. საბჭოთა ჯარები სომხეთს ნელ-ნელა ანადგურებენ, დღეს ერთს კუთხეს ჩამოსჭრიან, ხვალ მეორეს, გუშინ ყარაბახ-ზანგეზურს წაართმევენ, დღეს—ნახიჩევანს, ხვალ შარურის მაზრაში შეიჭრებიან. და, რაც უფრო აღმაშფოთებელი და გულის ამმღვრევია, ამ ნელ-ნელს განადგურებას საბჭოთა ჯარების წარმომადგენლები ტკბილი სიტყვებით აზავებენ. „ჩვენს მოქმედებას ერთად-ერთ მიზნად აქვს ბოლო მოუღოს ერთა შორის სისხლის ღვრას“, ირწმუნება საბჭოთა რუსეთის ნარკომი ჩიჩერინი და „წითელი“ აღერბეიჯანის ჯარები შეჰყავს ყარაბახ-ზანგეზურში. „ჩვენ მიზნათ არა გვაქვს სამხედრო მოქმედება სომხეთის წინააღმდეგ“, ამბობს ერთი „წითელი“ ნაწილის უფროსი და ნახიჩევანში იჭრება. „ამ შუღლის (სომეხთა და თათართა შორის) მოსასპობათ და ზემოთ დასახელებულ მაზრებში სიწყნარის დასამყარებლად ჩვენ შეგვყავს იქ წითელი ჯარის ნაწილები, რომლებსაც თან მიაქვთ დროშა მშვიდობიანობისა ამ მაზრების მშრომელთათვის“, ტკბილად უგალობს სომხეთის მთავრობას „წითელი“ სარდალი და თავის მფარველობის ქვეშ ოსმალთა ასკერები შეჰყავს შუაგულ სომხეთში „ჩვენ სრულიადაც არ გვინდა საომარი მოქმედება ვაწარმოოთ სომეხ-მუშების და გლეხების წინააღმდეგ“. არწმუნებს სომხეთის მთავრობას მეორე „წითელი“ სარდალი და ამავ დროს შარურის მაზრის შეტყაპუნებას ლამობს და სომეხ-გლეხებს მუსრს ავლებს. მეორდება კრილოვის იგავ-არაკი კატისა და ბულბულის შესახებ. „სუ, ჩიტუნიავ, ნუ გეშინია, მე არას გერჩი თავის დღეშია!“

სომხეთის მთავრობის საბჭოთა რუსეთის მთავრობისადმი მიწერილ ნოტებიდან ჩანს, რომ მას სრულიად ნათლად ჰქონია შეგნებული საბჭოთა ჯარების მოქმედების მთავარი მიზანი: „საბჭოთა ჯარების ამნაირი მოქმედება, ვკითხულობთ სომხეთის პრემიერის მ. ოგანჯანიანის უკანასკნელ ნოტაში, და მათი წაწევა შუაგულ სომხეთისაკენ იმავე გზით, რომელიც ყოფილ მუსავატის მთავრობის და იმპერიალისტურ ოსმალეთის მიერ იყო გაკვალული, სომხეთის ხალხის რწმენით უდრის მუსავატის ძველი გეგმის განხორციელებას: სომხეთის ცოცხალი სხეულის გადაჭრით უნდათ შეაერთონ აზერბეიჯანი და იმპერიალისტური ოსმალეთი“. რომ სწორეთ ეს მიზანი აქვს „წითელი“ ჯარების მიერ სომხეთში შეჭრას და სომეხ-მოსახლეობის ნელინელ აოხრებას, ამის დამალვას თვით მისი სარდლებიც არ სთვლიან საჭიროდ: ქ. ნახიჩევანში შეჭრილი „წითელი“ ნაწილის უფროსი სომხეთის მთავრობისადმი გაგზავნილ ულტიმატუმში ამბობს: „28 ივნისს რუსეთის საბჭოთა ფედ. სოც. რესპუბლიკის **და აგრეთვე ჩვენი მოკავშირე წითელი ოსმალეთის ჯარები,** ჩვენი ბრძანებისამებრ, შევიდნენ ქ. ნახიჩევანში“. მაშასადამე არავითარი ეჭვი აღარ რჩება. საბჭოთა რუსეთის „წითელმა“ ჯარებმა თავისი ხიშტებით განუხორციელეს ოსმალეთის იმპერიალისტებს ის დიდი ხნის სურვილი, რომლის განხორციელებაც მათ თავისი ძალებით ვერ შესძლეს სამი წლის სომხეთთან ომის განმავლობაში. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ოსმალთა იმპერიალისტების **შავი** ჯარი, რომელიც ისტორიულ წარსულში მხოლოდ **შავი** განზრახვების და **შავი** იდეალების მტარებლად იყო მთელს ქვეყანაში ცნობილი, რომელსაც სომხების მიმართ მხოლოდ **შავი** საქმეები სომეხ-ხალხის ხოცვა-ჟლეტა, უწარმოებია,—ეს ჯარი საბჭოთა რუსეთის სარდლებს „**წითელ**“ ჯარად მოუნათლავთ. მორჩა და გათავდა. არსებითად არაფერი არ შეცვლილა. შუაგულ სომხეთში შეჭრილი ოსმალთა ასკერები დღესაც ისევე მუსრს გაავლებენ სომეხ-ხალხს, როგორც „გაწითლებამდის“; მხოლოდ ეს მოხდება საჭოთა რუსეთის ჯარის ლოცვა-კურთხევით და მისი ხიშტების დახმარებით.

უდიდესი ტრაღედიის წინაშე დგას კაცობრიობა: იმ ისტორიულ, საუკუნოებრივ დავას რომელიც არსებობდა ოსმალთა და სომეხთა შორის, დღეს „წითელი“ რუსეთი თავის ხიშტებით სწყვეტს და სწყვეტს ისე, როგორც არ გადაუწყვეტია არც ერთს ბარბაროსულ ერს არც ერთი ერის ბედი: სწყვეტს პატარა, სუსტი ერის მსხვერპლად შეწირვით დიდი, მტაცებლური სახელმწიფოს სამსხვერპლოზე.

ეს უნდა დაუყონებლივ ეცნობოს მთელს განათლებულს კაცობრიობას, მთელი ქვეყნის დემოკრატიას, მთელი ქვეყნის სოციალისტურ პარტიებს, ყველა მუშათა ორგანიზაციებს. დაე, მათ დააფასონ „წითელი“ ჯარების საქციელი, დაე მათ დასდონ მსჯავრი იმ აღმაშფოთებელ, საარაკო ბარბაროსობას, რომელსაც „წითელი“ ჯარები სჩადიან მცირე ერის მიმართ „სოციალიზმის“ და „კომუნიზმის“ სახელით.

## პრესა

„ნორ-აშხატავორი“ (№ 97) ეხება სომხეთ-რუსეთის მოლაპარაკების საკითხს, და სწერს, სხვათა შორის:

„აქამდე კონკრეტიული ფორმა არ მიუღია განსაკუთრებული ხელშეკრულების საშუალებით სომხეთ-რუსეთის დამოკიდებულებას. დიპლომატიური მეგობრული მიწერ-მოწერა გვარწმუნებდა, რომ არ არსებობს ისეთი დაბრკოლება, რომელიც დაუშლიდა სომეხ-რუსთა ურთიერთობის მოწესრიგებას. და როგორც სჩანს, ერთად ერთი საბაბი დაგვიანებისა „შეითანია“ (ეშმაკი), რომელიც ეხლა სახე გამოცვლილი, სოციალისტურ პრინციპებით შეიარაღებული ისწრაფვის განახორციელოს თავისი წინად ცნობილი სომეხთა მოსპობის პროგრამა, ამ ხანად, უკვე რუსეთის დახმარებით.

გაზეთი ჩამოთვლის, ყველა იმას, რაც გაუკეთებია ოსმალეთს, რომ განეხორციელებია ეს პროგრამა და დასძენს:

„და როცა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი ლეგრანი სთხოვს სომეხთა მთავრობას, რომ დააჩქაროს მოლაპარაკების განახლება ერევანში, როგორც სჩანს, იგი ივიწყებს ფაქტებს, რომლებითაც მტკიცდება საბჭოთა რუსეთის ორგულობა, მისი დახმარება ოსმალეთის პროგრამის, ესეიგი სომხების გაწყვეტის და სომხეთის მოსპობის საქმეში, ივიწყებს, რომ სომეხი მშრომელი ხალხი არ გაერთობა ტკბილი საუბარით იმ დროს, როცა მისი ქვეყნის საზღვრებს თავს ესხმიან მტრული ძალები. არ შეიძლება, რომ საზავო მოლაპარაკებამ ნორმალური მსვლელობა მიიღოს, როცა ჯარები უკან არ წაუყვანიათ ყარაბაღიდან და ზანგეზურიდან და მანამ სომეხთა დელეგაცია არ დაბრუნებულა და არ გაუკეთებია მთავრობისათვის თავისი მოხსენება. სომეხ-რუსთა სოლიდარობის ჩვენ გულითადი მომხრე ვყოფილვართ, მაგრამ არა დროს არ დავთანხმდებით ეს მეგობრობა ყარაბაღის ან ზანგეზურის ფასით შევისყიდოთ“.

## საბჭოთა რუსეთის ეკონომიური ცხოვრებიდან

საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელნი ჟურნალ გაზეთებში, ყრილობებზედ ყველგან და ყოველთვის გაიძახიან, რომ შექმნეს სოციალისტური წესწყობილება, დაამხეს კაპიტალიზმი და უდიდესი საკითხი გადასწყვიტეს. ჩვენ რესპუბლიკას დანგრევას უპირებენ და მას საბჭოთა რუსეთის ცხოვრებას უპირდაპირებენ. საბჭოთა რუსეთში კაპიტალიზმი მოისპო, მუშათა კლასი განთავისუფლდა კაპიტალის მონობისაგან, მუშათა კლასი თვითონ არის თავისი ცხოვრების ბატონ-პატრონი—ასეთია ქადაგება. სულ სხვა სანახაობას წარმოადგენს ჭეშმარიტება. მუშათაკლასი შიმშილისაგან გაწყდა, მთელი სულის კვეთება პიროვნებისა საბჭოთა რუსეთში ლუკმა პურის გარშემო ტრიალებს. მისვლა მოსვლის საშუალება მოისპო და ვებერთელა სახელმწიფო მამაპაპეულ საშუალებას დაუბრუნდა. ეს ყველამ იცის გარდა საბჭოთა რუსეთის მესვეურებისა.

რა ხდება და რა მოხდა საბჭოთა რუსეთის ეკონომიურ ცხოვრებაში? მოხდა წინსვლა თუ უკან დაიხია რუსეთმა? მოსკოვის მთავრობის ეკონომიური საბჭო ამბობს, რომ ფულის კურსის ამაღლება არ შეიძლება ოქროს საშუალებით, ოქრომ დაკარგა ძველი სახე და ოქრო არ არის ის ძალა, რომელსაც შეუძლია გამოასწოროს ფულის კურსის მდგომარეობა. ეს დებულება ყველამ შეითვისა, ახალი არაფერი არ არის. მიხვდნენ მოსკოვის კომუნისტები რომ ფულის კურსის გამაგრება სხვათა შორის მოხდება ფულის ნიშნების ბეჭდვის შემცირებით. საბჭოთა რუსეთი მორცხვია და საიდუმლოთ ინახავს იმას თუ რამდენი ქაღალდის ფულის ნიშანი გამოუშვა. მხოლოდ ხანდახან წამოცდება და საიდუმლოს გასცემს. ფინანსთა კომისარი კრესტინსკი სხვათა შორის ბრძანებს, რომ გლეხების ხელში დაგროვილია ამ ჟამათ 272 მილიონი მანეთი ოქროს ფული. ეკონომიური საბჭო მოგვითხრობს, რომ შესაძლებელი არის 50 მილიარდი მანეთის, რომელიც ხალხში ტრიალებს, ამოიწუროს. საბჭო დარწმუნებული არის, რომ ხალხში გაცილებით მეტი ფული ტრიალებს. მეტი ნაწილი ამ ფულებისა სოფლად არის დაგროვილი საბჭოთა რუსეთის კომუნისტები ცდილობენ ეს თანხები ამოიღონ სოფლიდან საჭირო ნივთების და იარაღების მიწოდებით. ჯერჯერობით საბჭოთა რუსეთს არაფერი აქვს მისაწოდებელი. ვიდრე კომუნისტები შეამცირებენ ფულის ნიშნების ბეჭდვას, ვიდრე ამოიღებდნენ გლეხების ჰურებიდან ყულაბებიდან დაგროვილ ქაღალდის ფულებს ცხოვრება თავისას აწყობს. ვერც სოფელს და ვერც ქალაქს კომუნისტებმა ვერაფერი ვერ მიაწოდეს, რაც დამზადებული იყო გაანაწილეს, ეხლა გასანაწილებელი არაფერი არ არის. წარმოება არ მოეწყო. 12 ქარხანაში, რომელიც რკინეულობას და ფოლადის ნაწარმოებს ამზადებდა, 8000—10,000 მუშის მეტი არ არის, 1917 წ. მუშაობდა 84,000 ხელი; მუშა ხელის რაოდენობა 8-ჯერ შემცირდა. სოფელმა ვერ მოუცადა კომუნისტების საქმიანობას და თავისებურად მოეწყო. ქალაქები საბჭოთა რუსეთში მოისპო მრეწველობა და წარმოება სრულიად განადგურდა. ქალაქის ადგილს იჭერს სოფელი. ქალაქში მოისპო მრეწველობა მრეწველობა იწყობა სოფლად. სოფელში ეწყობა **ახალ ნიადაგზე კაპიტალისტური მრეწველობა;** ეწყობა კაპიტალისტური მრეწველობა, რომელიც თითქოს მოსპეს კომუნისტებმა. კომუნისტების ქალაქები აღარაფერს არ აძლევენ სოფელს: არ აძლევენ მანუფაქტურას, რკინეულობას, სამეურნეო იარაღებს. სოფლად მოეწყო მანუფაქტურის წარმოება. განსაკუთრებით ამზადებენ ქსოვილებს. დიდი განვითარება მიიღო ამ დარგმა წარმოებისამ ურალზედ. აქ იყვნენ ავსტრიელი ტყვეები. გამოცდილნი ქსოვილების მზადებაში, გლეხობამ შეიძინა მათგან ცოდნა და ამ გაჭირვების დროს გამოიყენა. იარაღები, რომლებს გლეხები ხმარობენ ძლიერ უბრალო და მარტივია. ამ ბოლო დროს დიდი ცვლილება მოხდა: წინათ გლეხი ამზადებდა ძაფსაც და ქსოვილებსაც, ეხლა ხდება შრომის განაწილება და ნაყოფიერებაო. ერთი სოფელი ერთ ნაწილს ამზადებს, მეორე მეორეს. მოაწყვეს პატარა ქარხნები და აწარმოებენ გაცვლა გამოცვლას თავის ნაწარმოებისას. სოფლის წარმოება იმდენათ გაიზარდა, რომ სოფელი შეუდგა მიწოდების საქმეს. ნაწარმოებს სოფელი აწოდებს ქალაქებს. ავსტრიელები და გერმანელი ტყვეები ჩაერივნენ საქმეში და მათი შემწეობით დიდი ვაჭრობა გაიმართა. აღსანიშნავია ისიც, რომ გლეხები აძლევენ ქალაქებს ძლიერ ცოტას. გლეხი, სოფლის მეურნე არ აძლევს ქალაქს არც სურსათს, არც სანოვაგეს, არც სხვა რამეს. რასაც აძლევს დიდი სიფრთხილით და ცდილობს სრულიად ჩამოშორდეს ქალაქს. სოფლიდან შემოდის: დანა, ჩანგალი, ლურსმანი, ქსოვილები. სამაგიეროთ მიაქვს ფულის ნიშნები; შემდეგ სოფლის მრეწველობაში ტრიალებს.

შეიძლება გვითხრან რომ ეს არის წინსვლა. ეკონომიური განვითარება. რა მოხდა? ქალაქის მრეწველობა, წარმოება, კაპიტალისტური მრეწველობა დაინგრა. ამ ნგრევას მოჰყვა შეუძლებლობა მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა. კაპიტალისტური წარმოება სოფლად დაიწყო. აშკარაა, სოფლის წარმოება ჯერ არ არის კაპიტალისტური სავსებით, სოფელი ვერც მისწვდება ქალაქის წარმოებას. ჩანასახი კი კაპიტალისტური წარმოებისა ყოველ შემთხვევაში არის და გაცილებით ცუდი და მდარე ხასიათისა. კავშირი ქალაქსა და სოფელს შორის გაწყდა და რა თქმა უნდა ასეთი მოვლენა არ რის სახეირო არც ქალაქისათვის, არც სოფლისათვის და საერთოდ საზარალოა მთელი ხალხის მეურნეობისათვის. კაპიტალი სხვა კარებით და ახალი პირბადე წაფარებული შემოდის. მაშასადამე დეკრეტებით და

# დღეს

**ბოლშევიკების ცნობით ლოიდ ჯორჯი უარს აცხადებს კრასინისა და კამენევის მიღებაზე, სანამ პოლონეთთან დროებითი ზავი არ შეიკვრება.**

**პოლონეთში ახალი კაბინეტი შესდგა ცნობილ სოციალისტის დაშინსკის მეთაურობით.**

**სმირნის ვილაეტის და აღმოსავლეთ ფრაკიის ოკუპაცია საბერძნეთის ჯარების მიერ დასრულდა.**

**ფრანგული ცნობით საფრანგეთის ჯარებმა კილიკიაში ქემალისტები დაამარცხა.**

**იაპონიის პარლამენტის მინისტრთა თავმჯდომარემ აცნობა, რომ იაპონია მიიღებს ენერგიულ ზომებს, რათა ციმბირში თავისი პრესტიჟი დაიცვასო.**

ხიშტებით მოსპობა წესწყობილებისა რომელიც ასეული წლობით ეწყობოდა ასე ადვილად არ შეიძლება. ბუნების კანონების დარღვევა არ შეუძლია არავის და განსაკუთრებით არც „ძლევა" მოსილ კომუნისტებს. სოფლად ფული არის და ის ფული ახალი სახით ტრიალებს. უხარიათ და ეგებებიან კომუნისტები ახალ მიმართულებას მეურნეობაში? ფინანსთა კომისარი კრესტინსკი და მათი ჟურნალი „ეკონომიური ცხოვრება" მწუხარებას გამოსთქვამს კომუნისტების ფინანსისტები ფიქრობენ რაც სოფელში ფულის ნიშნები ტრიალებს, ამოიღონ და ამოსწურონ. ეხლა კი ისეთი მდგომარეობა შეიქმნა სოფლად, რომ ფულების ამოღება კი არა, ფული კიდევ მეტი ქალაქიდან სოფელში გადის. ირღვევა ძველი კავშირი. განადგურდა მრეწველობა. აღმოცენდა ახალი კაპიტალისტები, ახალი წესწყობილება, ეკონომიურად უფრო დაქვეითებული. აი ის სამოთხე, აი ის ბედნიერება, რომელიც მოაქვს ახალი ცხოვრების უმწეო მესვეურთ.

ს. ავალიანი.

## დამფუძნებელი კრება

3 აგვისტოს სხდომა.

თავმჯდომარეობს ს. მდივანი.

**ნ. იმნაიშვილის** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი ს. ყაზბეგში გენ. გიორგი ყაზბეგის მამულ-შენობისა და ინვენტარის შესაძენად 1.10 ,000 მან. გადადებისა. დეკრეტს წინააღმდეგ მისცეს ხმა ესერებმა, რომლებიც მოითხოვდნენ მამულის უფასოდ ჩამორთმევას.

**განგრძობა მსჯელობის შრომის ხელშეკრულების კანონ-პროექტის შესახებ.**

**პ. ბერიშვილი** (ს დ.) საკითხი იმდენათ დიდი და რთულია, რომ მეგონა ღირსი იყო იგი შესწავლის და ის ოპოზიციის ორატორები, რომლებიც გამოდიოდნენ ამ ტრიბუნაზე იტყოდნენ, თუ რას ფიქრობენ მათი პარტიები ამ საკითხის შესახებ. სამწუხაროთ, ჩვენ ასეთი სიტყვები არ მოგვისმენია, ვერ გავიგონეთ სერიოზული კრიტიკა ამ კანონ-პროექტის შესახებ. ამხ. ლიო შენგელაიამ სთქვა მუშათა კლასი მძიმე მდგომარეობაში არის, მისთვის არავინ ზრუნავსო. ჩვენ სოციალ-დემოკრატიას და მუშათა კლასს შორის არ არის განსხვავება. სოციალ-დემოკრატია და მუშათა კლასი ეს ორი მცნებაა, რომელიც ერთი-ერთმანეთში მჭიდრო არის გადახლართული და ყოველივე ის, რაც გაკეთებულა ჩვენში, ეს მუშათა კლასის საქმე არის. შენგელაია იძახდა დღევანდლამდე არ დაწერილა კანონი მუშათა შესახებ. საქართველოში არსებობს დემოკრატიული წყობილება, მაგრამ დღემდე არ დაწერილა რესპუბლიკანური კონსტიტუცია. ის, რაც დღეს უნდა მივიღოთ მუშათა შესახებ, იგი ცხოვრებაში უკვე გატარებული არის დეკრეტების და პირობების სახით. აქ შენგელაიამ სთქვა, ეს კანონი არის მაჩვენებელი იმისა, რომ ზავია კლასთა შორისო ეს არ არის მართალი. კანონში მოსჩანს კლასთა ბრძოლა, ეს ნაყოფი არის კლასთა ბრძოლის და მუშათა კლასს ბრძოლა რომ არ ეწარმოებინა, ასეთი კანონი არ დაიწერებოდა. ამ კანონით მუშათა კლასს ეძლევა ფართო ასპარეზი საბრძოლველად. თუ თქვენ კლასთა ბრძოლა წარმოდგენილ გაქვთ ისე, რომ უეჭველად რევოლვერების სროლა და ხმლის ტრიალი უნდა იყოს, მაშინ ეს არ იქნება კლასთა ბრძოლა. მშვიდობიანი მუშაობა იგივე კლასთა ბრძოლა არის. შენგელაია შეჩერდა რა კანონზე დეფექტათ მიაჩნია ის, რომ აღნიშნულია აქ სასჯელი იმ პირთათვის, რომელნიც დაარღვევენ კანონს. ეს არ არის დეფექტი. რუსეთში ბევრი კარგი კანონი იყო დაწერილი მუშათა შესახებ, მაგრამ ცუდი იყო ის, რომ მისი დამრღვევნი პასუხიგებაში არ ეძლეოდნენ. ჩვენ იმიტომ ვწერდით ამ კანონში მის დამრღვევთათვის სასჯელს, რომ ვიცოდით მას დამრღვევნი გამოუჩნდებოდენ და მათთვის სასჯელის დაწესება მიზანშეწონილია. თქვენ ამას დეფექტათ სთვლით და იმავე დროს მოითხოვთ მუშათა კლასის დაცვას. აქ შენგელაია შეეხო რა ნარდათ მუშაობას სთქვა—ასეთი წვრილმანებით დააქვეითეთ კანონიო. ნარდათ მუშაობა თავის თავად ბოროტება არ არის. ჩვენ ვებრძოდით მას მაშინ, როდესაც ის იყო საშუალება რომ ზედმეტი „სოკი" ამოეწურათ მუშათა კლასიდან. ეს იყო მუშათა კლასის ექსპლოატაციის სისტემა. ნარდათ მუშაობა წინათ ქმნიდა რა ზედმეტ ღირებულებას, კრიზისებს იწვევდა. რადგანაც მსოფლიო ბაზარი ისედაც სავსე იყო საქონლით. ახლა კი დაინტერესებული ვართ ზედმეტ ღირებულების შექმნით იქ, სადაც მუშათათვის ნორმალური შრომის პირობებია ეს მისაღებია. და ეს კარგად იცოდა მუშათა ყრილობამ, რომელმაც დაადასტურა ნარდათ მუშაობის საჭიროება.

შემდეგ ორატორი ეხება იმ მუხლს, თუ რა შინაგანი წესრიგი უნდა არსებობდეს ქარხნებში და ამტკიცებს, რომ შემცდარია შენგელაია, რომელსაც ჰგონია, რომ შინაგანი წესრიგი მხოლოდ მუშების მიერ უნდა იქნას შექმნილიო. ამას ქონდა მნიშვნელობა მაშინ, როდესაც არ იყო შრომის რეგლამენტაცია. ამ თავის დებულებას ორატორი მაგალითებით ამტკიცებს. ღლონტმა თავისი სიტყვა დაიწყო იმით, რომ სთქვა—მუშათა კლასი ამ კანონს გულგრილათ შეხვდაო. საიდან დაასკვნა, რომ ინდიფერენტიზმი არის ამას კანონის გარშემო. მუშათა კლასი მთელი ორი წლის განმავლობაში არჩევდა ამ კანონის გარჩევის დროს თუ დემონსტრაციებს და მანიფესტაციებს არ ახდენს, ეს იმიტომ, რომ მან იცის იგი საიმედო ხალხის ხელშია. (ტაში). ილაპარაკა რა ინდიფერენტიზმზე ღლონტმა, მან მოუგონა ერობის და ქალაქების მუშა-მოსამსახურეთა ყრილობა, სადაც გაირჩა შრომის ხელშეკრულებაო. მაშასადამე, ინდიფერენტიზმი არ ყოფილა და ამას არღვევს თქვენივე სიტყვები. ნუ თუ თ. ღლონტს გონია მუშათა წარმომადგენელი იმას ქვიან, ვისაც უეჭველად პეჭყიანი ხალათი აცვია. მან უნდა იცოდეს, რომ შეიძლება ინტელიგენტი იყო ადამიანი და ამავე დროს მუშათა წარმომადგენელი და შეიძლება „ბოსიაკი" იყოს და არავითარი წარმომადგენელი არ იყოს მუშათა კლასის. თუ ეს წარმოდგენილი კანონი ცუდია, სად არის სამაგიერო. მე, როგორც მუშა, დაინტერესებული ვარ კარგი კანონით, რატომ არ წარმოგვიდგინეთ უკეთესი? აქ სთქვა ღლონტმა მუშები ამ კანონს იწუნებენო. რომელი მუშები იწუნებენ მას, ვისი სახელით ლაპარაკობთ. რათ აწუხებთ ტყუილუბრალოდ მუშათა კლასს. ორი წელიწადია, რაც ეს კანონი ირჩევა და შრომის კომისიის სხდომას ღლონტის ფრაქციიდან არავინ დასწრებია. მხოლოდ შენგელაია და ასათიანი დაიარებოდენ სხდომაზე და იქ გვებრძოდნენ კიდეც. ღლონტმა სთქვა, რომ საქართველოს ბურჟუაზია ვერ შექმნის მრეწველებასო. რა შუაში არის აქ ბურჟუაზია. ეს კანონი იწერება არა ბურჟუაზიისათვის, არამედ მეურნეობა-მრეწველობისათვის, რაშიაც მუშათა კლასი დაინტერესებული არის. ორატორი ამტკიცებს, რომ მრეწველობა და ბურჟუაზია ერთი და იგივე არ არის, სოციალ-დემოკრატია ებრძოდა რა ბურჟუაზიას, იგი ყოველთვის იცავდა მრეწველობას. ბურჟუაზია თავის კლასიურ ინტერესებს ასაღებდა ხან ნაციონალურ ინტერესებათ, ხან მრეწველობის ინტერესებათ. თქვენმა ჯგუფმა (უბრუნდება მემარჯვენეებს) თავი მიანება მრეწველობას (ნაციონალ-დემოკრატები ადგილიდან: რატომ თქვენ არ მოკიდეთ ხელი) იქ, სადაც ჩვენ მოვკიდეთ ხელი, წარმოება ფეხზე დგება. (ასათიანი: რა გააკეთეს მერე?) თქვენ მიერ ომებით დანგრეულ მრეწველობას ამ ერთ წელიწადში როგორ აუაყვავებდით. ჩვენ ვშრომობთ და თქვენ კი არა. უბედურებაც სწორედ ამაში არის. თქვენთვის მრეწველობა, მეურნეობა ომების საგანი იყო, თქვენთვის მეურნეობა, როგორც კულტურის, ერის აყვავების საგანი არ ყოფილა. როგორი იყო მუშათა კანონმდებლობა მაშინ, როდესაც მუშათა კლასი მიჭყლეტილი იყო ბურჟუაზიის მიერ ფეხებით და ჩექმებით. სანამ მუშათა კლასი, როგორც პოლიტიკური ძალა, ორგანიზაციულად შეკავშირებული არ გამოვიდა საზოგადოებრივ ასპარეზზე, ჩვენ ვიცით, თუ როგორ ჯოჯოხეთურ პირობებში იმყოფებოდა ის. თქვენ ალბად კარგად იცით, თუ როგორ იყო მუშათა კლასის მდგომარეობა იქ, სადაც ბურჟუაზია ძლიერი იყო. (ასათიანი: მაგალითად, ამერიკაში). თქვენ უნდა იცოდეთ ასათიანო, რომ იქ მუშათა ორგანიზაცია ძლიერია. (ასათიანი: სანამ მუშათა ორგანიზაციები ძლიერი არ იყო, მანამ მუშათა მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იყო) თქვენ მაგას სერიოზულად ლაპარაკობთ. თუ ამას სერიოზულათ ამბობთ, მაშინ წაკითხული გქონებათ ან წაიკითხეთ თქვენივე იდეოლოგების წიგნები და დაინახავთ, თუ რა მდგომარეობაში იყო მუშათა კლასი საფრანგეთში, ინგლისში და სხვაგან. ილიუსტრაცია გინდათ: ბალანები ნზეს აღარ ხედავდნენ, მუშები ფიზიკურათ ნადგურდებოდნენ, თქვენ კი ზრდით ქონებას ჯიბისათვის და მუშათა კლასი იმ ზომამდე მიიყვანეთ, რომ სალდათათაც აღარ ვარგოდა და როგორ გგონიათ თქვენ მუშათა კლასის კანონმდებლობა დაიწყო ბურჟუაზიის კეთილი, ჰუმანიური სურვილებით? სრულიადაც არა. როდესაც თქვენი ამხანაგები გამოდიოდენ მუშათა დასაცავათ, ისინი აცხადებდნენ, რომ მუშათა კლასი არ ვარგა სამშობლოს დასაცავათ, ის ცუდი ჯარისკაცია და რომ სამშობლო უდამცველოთ არ დარჩეს, საჭიროა შრომის დაცვაო. ამ თვალსაზრისით დაიწყო მუშათა კანონმდებლობა. (ასათიანი: მოსკოვში ნახავთ, რომელი პოლიტიკა სჯობია). ჩვენ ვიცით ორი ბალშევიზმი: ერთი, რომელიც არავითარ ანგარიშს არ უწევდა არც მრეწველობას და არც მეურნეობას, ეს იყო ბურჟუაზია და მეორე, რომელმაც ყველაფერი დაანგრია, გაანადგურა. ბალშევიზმი ვერც მარცხნივ და ვერც მარჯვნივ ვერ იხეირებს. მარჯვნივ ბურჟუაზიამ დაანგრია ქვეყანა და მარცხნივ ბალშევიზმმა მოათავა ეს დანგრევა. (ასათიანი: საფრანგეთში არაფერი დანგრეულა). თუ თქვენ მართლა სერიოზულათ გგონიათ, რომ ინგლისში და საფრანგეთში წარმოება ცოცხალია, ამობრძანდით ამ ტრიბუნაზე და დაამტკიცეთ, რომ იქ მეურნეობა გამაგრებულია. ჩვენ ვიცით, რომ თქვენ თქვენი ჯგუფობრივი ინტერესებისათვის საფრთხეში ჩაგდეთ მეურნეობა (ხმა: ამათ რა გააკეთეს კაცო). (თევზაია: ამათ სულიერმა ძმებმა მოიმოქმედეს ეს). ორში ერთი ან ის დანაშაული, რომელიც ჩაიდინა ევროპის ბურჟუაზიამ უნდა გაინაწილოთ, ანდა უნდა სთქვათ, რომ დამნაშავენი არ ხართ და მაშინ უარი უნდა სთქვათ თავის თავზედ. (მაჭავარიანი; მაშ, თქვენ გაინაწილეთ მოსკოვის დანაშაული). ჩვენ ვებრძვით მოსკოვის შედეგებს. ჩვენ ლაჩრობა მუშათა კლასისა არსად დაგვინახავს, თქვენ კი არსად არ გვინახივხართ ბრძოლის ველზე.

თქვენი კანონი მერყევიაო, მაგრამ ყველა მისი არგუმენტები ამტკიცებენ, რომ ეს კანონი მერყევი არ ყოფილა და ამიტომაც იყო. რომ მისი დანგრევა ვერ შეძლით. ჩვენ გვებრძვიან ორივე მხრიდან და ეს ამტკიცებს, რომ ეს კანონი კარგი ყოფილა. ჩვენ ვამბობთ, რომ ამ კანონით დაცული არის მეურნეობის და მრეწველობის ინტერესები, დაცული არის მინიმუმი მუშათა კლასისა, რომელიც მას უნდა ჰქონდეს, მაგრამ თუ თქვენ გინდათ მეურნეობის ინტერესი ანაცვალოთ ჯგუფურ ინტერესებს ამაში არ დაგეთანხმებით. მუშათა კლასს აქვს დიდი მოვალეობა, ის გრძნობს თავის მოვალეობის მთელ სიმძიმეს და მას უნდა ჰქონდეს ყველა ის უფლებები, რომელიც აუცილებელია წარმოების განვითარებისათვის. აქ შეეხნენ პროფესიონალურ კავშირებს. შეიძლება პროფესიონალურ კავშირებს ჰქონდეთ დეფექტები, შეცდომები. მაგრამ განა აქ ვადასტურებთ, ვაკანონებთ ამ დეფექტებს. სრულიადაც არა. პროფესიონალურ კავშირებს კი უნდა მიეცეს ის, რის მიცემაც აუცილებელ არის. თქვენ რომ სწერდეთ და იმუშავებდეთ კანონს განა გამოიჩენდით მრეწველობისადმი ისეთ ლოიალობას და მიუდგომლობას, როგორიც ჩვენ გამოვიჩინეთ. მე მგონია არა. თქვენ რომ სწერდეთ კანონებს ის იქნებოდა არა ხალხის, ერის საკეთილდღეოდ, არამედ—ჯგუფური ინტერესები იქნებოდა დაცული. (მაჭავარიანი: ცუდი წარმოდგენისა ყოფილხართ ჩვენზე.) ჩვენ აქ ვლაპარაკობთ თქვენს უფროსს ამხანაგებზე ევროპაში, რომელთა პოლიტიკაში პასუხისმგებელნი ხართ. (ასათიანი: როგორი არის თქვენი მუშების მდგომარეობა ევროპაში, სადაც ბურჟუაზია მაგარია?) თქვენ აბსტრაქციულად მსჯელობთ. თქვენ უნდა შეადაროთ ინგლისის მრეწველობა და მუშათა მდგომარეობა და ჩვენი მრეწველობა და მუშათა მდგომარეობა. შემდეგ ამისა ორატორი ეკამათება რა ასათიანს აღნიშნავს, რომ 8 საათის სამუშაო დღეს სრულიად საკმარისია, რომ ამოწურულ იქნას მაქსიმუმი ენერგიის, აქ სთქვეს თუ ძლიერი იქნება ბურჟუაზია, მაშინ მუშათა კლასიც ძლიერი იქნებაო. სიტყვა ბურჟუაზია უნდა შეიცვალოს მრეწველობით; რომლებიც ეროვნების და ქალაქების ხელშია.

შემდეგ ეხება რა შრომის თავისუფლებას, ორატორი ამტკიცებს, რომ იგი ყველას მიერ უარყოფილია და ყველგან იმარჯვებს ის აზრი, რომ სახელმწიფომ უნდა დაიცვას შრომა. სიტყვის დასასრულს იმედს გამოსთქვამს ორატორი, რომ ის კანონები, რომელიც აქ მოიპოვა მუშათა კლასმა, ამ კლასის გონიერ პოლიტიკის წყალობით შენარჩუნებული იქნება. (ტაში).

კამათი დასრულდა, უკანასკნელი სიტყვა ეძლევა მომხსენებელ **ილ. ფირცხალაიშვილს**, რომელიც აღნიშნავს, რომ არ არის გასაკვირველი რომ ასე დიდხანს იხილავს დამფუძნებელი კრება ამ კანონს. არც ერთი თანამედროვე საკითხი არ შეედრება თავისი მნიშვნელობით ამ კანონს, და ამიტომაც იყო, რომ ორი წლის განმავლობაში იხილავდნენ კომისიები ამას. შემდეგ ამისა ორატორი პოლ ლუსის წიგნითვე, რომელსაც ემყარებოდა თედო ღლონტი ამტკიცებს, რომ საფრანგეთში მუშათა ორგანიზაციები პარიტეტულ ნიადაგზე არის დაარსებული, გაფიცვისათვის იქ სდევნიან მუშებს და სხვ. სიტყვის დასასრულ ორატორი აღნიშნავს, რომ კანონმდებლობა შეფარდებულ უნდა იყოს წარმოებასთან და ყოველივე ნაბიჯის გადადგმის დროს გათვალისწინებულ უნდა იყოს ის შედეგები, რაც მოყვება მას. ვინაიდან ერთი შემცდარ ნაბიჯს შეუძლიან ეკონომიური კრიზისი გამოიწვიოს, რაც დაანგრევს ჩვენს ქვეყანას. ორატორი ეხება აგრეთვე პროფესიონალურ კავშირებს და აღნიშნავს, რომ შეიძლება ბევრი დეფექტები ჰქონდეთ მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კავშირები უნდა მოისპოს, რომლებიც ასეთ დიდ როლს თამაშობენ მუშათა კლასის ცხოვრებაში.

კანონ-პროექ. ზოგადად მიღებულ იქნა.

**შეკითხვა.**

გრძელდება კამათი ესერების შეკითხვის გარშემო.

**ივ. გობეჩია.** აღნიშნავს, რომ ამ შეკითხვის აზრი არის ის, რომ ვაიძულოთ მთავრობა შესცვალოს თავისი პოლიტიკა განაპირა კუთხეებში და კერძოთ ბორჩალოს მაზრაში. მთავრობამ უნდა შეაყვაროს განაპირა ხალხის მცხოვრებთ ჩვენი სახელმწიფო, მთავრობის პოლიტიკამ კი შეიძლება ქვეყანა დაღუპოსო. ორატორი ეხება წალკის რაიონის ს. დ. პარტიის ბიუროს და ამბობს, რომ მრავალ ბოროტმოქმედებას აქვს იქ ადგილიო. რასაც ბორჩალოს მაზრის ერობა არ აქცევდა ყურადღებასო. ორატორი ასახელებს ადგილობრივ ბიუროს ზოგიერთ წევრებს, რომელთაც სხვადასხვა ბოროტმოქმედება აქვთ ჩადენილი.

სიგვიანის გამო სხდომა დაიხურა.

## საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან)

**ხელფასის საკითხი.** 19 ივნისს ეკატერინოდარში შესდგა ტრამვაების მუშა მოსამსახურეთა გაერთიანებული საზოგადო კრება. კრებაზე მოხსენება გააკეთა რ. კ. პ. წარმომადგენელმა ჯამაგირების შემცირებისა და საბჭოთა მთავრობის სასურსათო პოლიტიკის შესახებ, კრებამ მიიღო მხედველობაში ის, რომ ჯამაგირების მომატება განგრძობა იქნება დენიკინის პოლიტიკისა და გამოიწვევს რევოლიუციის ყოველგვარ მონაპოვართა განიავებას და ეკონომიურ კრახს და დაადგინა: „1) აღიაროს საბჭოთა მთავრობის სატარიფო პოლიტიკა ერთადერთ სწორ პოლიტიკათ; 2) ჯამაგირების საკითხის მოგვარება უეჭველად შეიძლება მხოლოდ სასურსათო აპარატის სათანადოთ მოგვარებით: ამ აპარატის გაძლიერება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ იქ მოწვეული იქნება წარმომადგენლები პროფესიონალურ კავშირებიდან; 3) მხოლოდ სათანადო მსხვერპლის გაღებითა და მთელი ძალების მოკრებით შეუძლია მუშათა კლასს დასძლიოს არევ-დარევა, გადასწყვიტოს სასურსათო საკითხი და უზრუნველჰყოს მთელი ქვეყნის მუშათა გამარჯვება. („კრას. ზნამია", № 51).

— —

**სოფელი და ქალაქი.**

ბოლშევიკური მოღვაწეობის წყალობით მთელი რუსეთი ამ ჟამად ორ მტრულ ძალადაა გაყოფილი. თვით ბოლშევიკებს რომ ჰკითხოთ, გეტყვიან— ეს ძალებია ბურჟუაზია და პროლეტარიატიო, მაგრამ ვინც საბჭოთა რუსეთის ცხოვრებას ოდნავ მაინც ჩაკვირვებია, მისთვის აშკარაა, რომ ეს მტრული ძალებია სოფელი და ქალაქი.

რუსეთის ქალაქი დანგრეულია.— მსხვილი წარმოება, რკინის გზის მოძრაობის სრულიად მოშლის გამო, ვერ ღებულობს თავის დროზე ნედლ მასალას. თვით წარმოებამაც ვერ აიტანა ის ექსპერიმენტები, რომლითაც ბალშევიკები ცდილობდნენ მათ სოციალისტურად მოწყობას.

შედეგად ასეთ მოქმედებას ის მოყვა, რომ ქალაქელი მუშა ვერ ჰქმნის იმ საგნებს, რომელთაც ის ბალშევიკების ბატონობამდე ასე თუ ისე აკეთებდა როგორც თავისთვის, ისე გლეხებისთვის, სოფლელ მუშებისათვის.

ამიტომ გლეხი ე. ი. სოფელი არ აძლევს თავის წარმოებიდან არც პურს, არც სხვა სურსათს.

ბალშევიკურ გაზეთებს თუ დაუჯერებთ, ქალაქებში ბურჟუაზია უკვე მოსპობილია. მას ყველაფერი ჩამოართვეს— ასე წარმოიდგინეთ, უბრალო თეთრეულიც კი, მაგრამ სოფელს ვერ მიუდგნენ. რამდენი არ ეცადნენ ბალშევიკები სოფელში „შეჭრას" ხან ბატრაკების (ბოგანოების), ხან სრედნაკების (საშუალო შეძლების გლეხი) დახმარებით, მაგრამ ცდა ყოველთვის უშედეგო იყო. ამიტომ სოფლის პური, ქალაქში განაწილებული ქალაქისავე სულის ჩასაპურებლათ, კვლავ სოფელშია დარჩენილი...

საბჭოთა მთავრობის მთელი შემოქმედებითი მუშაობა მხოლოდ იქითკენ არის მიმართული, თუ როგორ განახორციელოს თავისი მიზანი და გამოზიდოს სოფლის პური.

საბჭოთა მთავრობის რეპრესიული ზომები, როგორიცაა სოფლის წინააღმდეგ მიმართული,—მონოპოლია, რეკვიზიცია, რაზვერსტკა და სხვა, საქმეს არ შველის. პირიქით, ასეთმა ზომებმა შეამცირა კიდევაც სოფლად შრომის ნაყოფიერება.

მონოპოლიის, რეკვიზიციის თუ რაზვესტკის შიშით გლეხი არ სთესს იმაზე მეტ პურს, რაც მას არ სჭირდება, აღარ ზრდის ზედმეტ პირუტყვს, ფრინველს და სხ.

ეს კი აძლიერებს სასურსათო კრიზისს არა მარტო ქალაქად, არამედ, სოფლადაც.

ხარკოვის უპარტიო მუშათა კონფერენციაზე, სადაც თითქმის ერთხმად გადაწყდა ბურჟუაზიის სრულიად „გატყავება", რაც სისრულეში იქნა მოყვანილი ამა წლის 5-6 ივნისს ღამით, მასსიური ჩხრეკის მოხდენით, ბევრი ორატორები გამოდგნენ იმის მომხრე, რომ სოფლიდან პურის გამოსატანად წასულიყვნენ თოფ-ზარბაზნებით და არა ტკბილი სიტყვებით.

ჩვენ არა ერთხელ წაგვიკითხავს აგრეთვე რუსეთის გაზეთებშივე, თუ როგორ წასულან სოფლად თოფ-ზარბაზნებით, როგორ შეხვედრიან გლეხები მოძალადეებს, როგორ ჩაუქრიათ წითელ არმიელებს ამ ნიადაგზე მომხდარი აჯანყება და სხ.

ამ გვარ ძალადობასთან ერთად საბჭოთა მთავრობა სოფლად „იდეურ პროპაგანდასაც" აწარმოებს. სოფლელ მუშებს, გლეხობას უმტკიცებენ მისი პროპაგანდისტები და გაზეთები. რომ მსხვილი წარმოება უფრო კარგია, ვიდრე წვრილი, ამიტომ დასტოვეთ ის, გადაეცით თქვენი წარმოება სახელმწიფოს და თქვენ უფრო ბედნიერათ იცხოვრებთო.

სოფლის მუშა კი ხედავს, რომ ბალშევიკებმა ვერაფერი გააწყვეს თვით მსხვილი წარმოების ჩამორთმევით. ბოლშევიკების პოლიტიკის წყალობაა, რომ ამ ჟამად რუსეთში მსხვილი წარმოება დანგრეულია. დიდი ხანია ის დანაწილდა წვრილ საკუთრებათ. სოფლის მუშა ამიტომ თანდათან რწმუნდება, რომ საბჭოთა მთავრობა ახლანდელი თვისი პოლიტიკით მას ხეირს არ დააყრის და ამიტომ ის გაურბის მას.

ბოლშევიკები კი ჰხარჯავენ ქაღალდს, მელანს, მთელ თავიანთ მჭერმეტყველებას და ამტკიცებენ, რომ საბჭოთა წარმოებაში ორჯერ ნაყოფიერი იქნება შრომის ნაყოფიერება, ვიდრე კერძო წარმოებაშიო.

„სოვეტსკი დონ"-ის მე-102 ნომერში ვინმე ი. ქუგუროვს განუზრახავს, ევროპის რუსეთის გუბერნიებში არსებული 16 მილიონ წვრილ მესაკუთრეთა და დონის ოლქში არსებულ 154 ათას მესაკუთრეთა საბჭოთა მსხვილ წარმოებებში შეერთება და სწერს: წარმოვიდგინოთ რომ საბჭოთა კომუნისტურ მეურნეობაში, შრომის ნაყოფიერება მეტია, ვიდრე წვრილ წარმოებაში. დეე საბჭოთა წარმოებაში ერთი არშინი მაუდის და სამუშავებლათ საჭირო დარჩეს 16 საათი, და ერთი ფუთი ხორბლის დასამუშავებლათ საბჭოთა მეურნეობაში აგრეთვე 16 საათი. ვინაიდან წვრილ მეურნეობაში შრომის ნაყოფიერება ორჯერ ნაკლებია ამავე საგნების დასამუშავებლათ საჭირო იქნება 32 საათი თითოსთვის".

ავტორის გამოანგარიშებით, საქონლის გაცვლა გამოცვლის დროს, წვრილი მეურნე დაინახავს, რომ თავის 32 საათის ნაშრომში ის აიღებს მხოლოდ საბჭოთა მეურნეობის წესით დამზადებული 16 საათის ნაშრომს. ეს მისთვის ხელსაყრელი არ იქნება, ის დასტოვებს თავის წარმოებას ან შეუერთებს საბჭოთა წარმოებასო და სხ.

ეს მართლაც აგრე უნდა მოხდეს. მსხვილი წარმოების განვითარებით წვრილი წარმოება თანდათან ისპობა, მაგრამ ეს ხდება არა იმ გზით, რომლითაც ბალშევიკები მიდიან. ძალდატანებით რომ არაფერი გამოვა, ეს უკვე დაინახეს რამდენიმეთ ბალშევიკებმა!..

წვრილი, კერძო წარმოების გვერდით, საზოგადოებრივი წარმოების გაჩაღება. საქმით და არა ცარიელი სიტყვით დამტკიცება იმისი, რომ საზოგადოებრივ წარმოებაში შრომის ნაყოფიერება ორჯერ და მეტჯერ იზრდება...

მხოლოდ ამ გზით მოეღება ბოლო რუსეთის სოფლებსა და ქალაქებს შორის ჩამოვარდნილ შუღლს, ამ გზით შეიძლება წარმოების აღორძინება...

შესძლებენ კი ამას ბალშევიკები?!.

არა გვაქვს მათგან ამის იმედი!..

გ. მ.

## საქ. დემ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

**პარიზი.** 25 ივლისი. „ჟურნალი" სწერს: მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთი დასთანხმდა ზავზე და რუსეთის სარდლობამ შეხვედრი ადგილი და დროც კი დანიშნა, ბალშევიკები შეტევას მაინც განაგრძობენ. ეს ფაქტი თავის-თავად ნიშნავს ომის წარმოების საერთაშორისო კანონების დარღვევას, ვინაიდან თანხმობის გამოცხადება მოლაპარაკების დაწყების შესახებ ნიშნავს დროებითი ზავის ჩამოგდებას. პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ ბალშევიკებს სურთ დააფრთხონ პოლონეთი და ამ რიგად უკარნახონ მას თავისი საზავო პირობები.

**პარიზი,** ივლ. 20. „ჟურნალ დე დება" იუწყება: რუსეთიდან დაბრუნებულმა ინგლისელმა მუშებმა ჩამოიტანეს პ. ა. კრაპოტკინის წერილი, რომლითაც კრაპოტკინი აფრთხილებს ინგლისის მუშებს ბალშევიზმის იდეით გატაცებისაგან. ეს წერილი დაბეჭდილია ინგლისურ ყველა გაზეთში, რომელნიც სწერენ, რომ კრაპოტკინი ისეთი მოწმეა, რომელსაც არ შეიძლება ანტირევოლიუციონერობა დავსწამოთო. იმას მით უმეტეს უნდა დავუჯეროთ, რომ იგი თვალყურს ადევნებდა ბალშევიკების მოქმედებას. თავის წერილში კრაპოტკინი კატეგორიულათ ამბობს: მე. სამწუხაროდ უნდა დავადასტურო კომუნისტური მოძრაობის სრული დამარცხებაო. ღირსთა—კითხულობს მცხოვანი რევოლიუციონერი, განა რუსეთის რევოლიციონურ აძდენ სახელო თაობათა ამ ცენტრალიზაციის, პიროვნების თავისუფლების სრული მოსპობისა და ამ გადაყირავებულ კომუნიზმისთვის მსხვერპლად შეწირვაო? კრაპოტკინი ამბობს, რომ იგი, რომელიც დიდხანს სცხოვრობდა ინგლისში და ანგარიშს უწევს მას, რომ რუსეთში მიმავალნი ბევრ ღამეს კარგავენ, თავის უწმინდეს მოვალეობათ სთვლის გააფრთხილოს ინგლისის მუშები. რუსეთის გაკვეთილი მაგალითი უნდა იყვეს ლამანშის ორივე ნაპირზე მცხოვრებ დემოკრატიისათვისო.

**ლონდონი.** ივლ. 18. პრესის გადმოცემით, ჩიჩერინი განსაკუთრებულ განცხადებაში, რომელიც ინგლისის მთავრობის სახელზეა გაგზავნილი, ლაპარაკობს სპარსეთში იმ ადგილების ევაკუციის შესახებ, რომლებიც ბალშევიკების მიერ არის დაკავებული. ამ ცნობასთან ერთად გაზეთები სპარსეთის რადიო ცნობებს ბეჭდავენ წითელ არმიის ახალი დესანტების შესახებ კასპიის ზღვის ნაპირებზე. სპარსეთში საბჭოთა ემისრები გაცხარებულად მოქმედებენ.

**ჟენევა.** ივლ. 10. ფედერატიულმა საბჭომ, იმ მიზნით, რომ ტურისტების მიიზიდოს, დაადგინა: დაუყონებლივ მიღებული იქნას ზომები შემოსვლის ფორმალობის მოსასპობათ. საზღვრებზე კონტროლი ფრიად შემსუბუქებულია, შინაგანი კონტროლი უნდა განისაზღვრებოდეს შემოსვლის დღეს ჩაწერით. საზღვარ გარეთლები შვეიცარიაში სრული თავისუფლებით სარგებლობენ. წასვლის დროს რეგისტრაცია გაუქმებულია. ეს წესები შემოღებულია ივლ. 15.

**ვაშინგტონი.** ივლ. 13. შეერთებულ შტატების მთავრობამ ყველა ბარგის გატანის ნება დართო, გარდა სამხედრო მასალისა. სამხედრო მასალა არ შეიძლება გატანილ იქნეს ავსტრიაში, ბულგარეთში, რუსეთში, ოსმალეთში და კავკასიაში.

**სტავროპოლი.** 22 ივლ. შვეციის პრესა გადმოგვცემს: კრასინმა შვეციის ფირმებთან ხელშეკრულობა დასდო, საბჭოთა რუსეთში სხვადასხვა კონსერვის გაგზავნის შესახებ. ამასთანავე მან შვეციაში იჯარით 5 წლით აიღო ორთქლმავალთა საკეთებელი ქარხანა.

**პარიზი.** 29 ივლ. ამერიკიდან მოსულ გაზეთ „ჩიკაგო ტრიბუნში" მოთავსებულია წერილი, რომელშიც ნათქვამია, ხელშეკრულების რადიკალური გადასინჯვა წარმოადგენ აუცილებლობას. ინგლისი პრინციპიალურად თანახმაა შესცვალოს ხელშეკრულება, რითაც იგი უფრო ელასტიური გახდება. ამისავე მომხრეა იტალია. ამერიკასაც თავის მხრივ სურს ამ ხელშეკრულების ზოგიერთი მუხლის შეცვლაო.

**ტოკიო.** ივლ. 15. მინისტრთა თავმჯდომარემ პარლამენტის სესიის საზეიმო სხდომას აცნობა იმ საშინელ სისხლის ღვრის შესახებ, რომელიც ნიკოლაევსკში მოახდინეს ბალშევიკებმა. მან განაცხადა: იაპონია მიიღებს ენერგიულ ზომებს, რათა ციმბირში თავისი პრესტიჟი დაიცვასო.

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

5 აგვისტო.

**ფრანგული ცნობები.**

**კილიკიაში.**

კილიკიაში ფრანგების ჯარმა ქემალისტები დაამარცხა.

დამასკში სრული სიწყნარეა. ოსმალთა ბრბოების უფროსები ყოველი მხრიდან მოდიან მორჩილების გამოსაცხადებლათ.

**საფრანგეთის ახალშენები.**

ახალშენების ტურიზმის განვითარებას შეუძლია საფრანგეთს მოუტანოს შემოსავლის თვალსაჩინო წყარო. ამას გარდა, თუ დაიწყებენ ახალშენების მოწყობას ტურისტების მისაღებათ, მაშინ განვითარდება სასტუმროს მრეწველობა და გაძლიერდება ახალგაზრდა ანნამიტების, მადაგასკარელების, ან არაბების შესვლა სასტუმრო შკოლებში. მაშინ საფრანგეთსა და მის ახალშენებს შორის უკეთესი საზღვაო დამოკიდებულება უნდა მოეწყოს, ვიდრე ეხლა არის. საფრანგეთის ახალშენებში არის თბილი წყაროები და კლიმატიური სადგურები, რომლებიც შემდეგ ცნობილი შეიქნება. ახალშენების ტურიზმის კვირამ ბორდოში გამოიწვია სურვილი, რომ ახალშენებმა დაარსონ ფონდი და აქედან თანხა გადასცენ მეცნიერებსა და სტუდენტებს, რათა მათ შეძლება მიეცეთ ამ ახალშენების შესწავლისა.

**ხალხთა ლიგა**

(დასაწყისი არ მიგვიღია)... ხალხთა ლიგის საბჭომ გადასწყვიტა ხალხთა ლიგის საერთო კრებას წარუდგინოს საერთაშორისო ბიუროს დაარსების შესახებ. ხალხთა ლიგის სხდომაზე პოლონეთის ელჩის თანადასწრებით განიხილეს პოლონეთის მდგომარეობა, რომელიც დიდ საშიშროებას წარმოადგენს, რადგან იქ მეტად გაძლიერებული საბადია.

**საერთაშორისო სასამართლო.**

ბურჟუამ საერთაშორისო იურიდიულ კომისიის მუშაობის შესახებ განცხადება გააკეთა. ამ კომისიას მინდობილი ქონდა საერთაშორისო მუდმივ სასამართლოს დაარსება. დღის წესრიგში იდგა ორი მნიშვნელოვანი კითხვა: მხრჩოლავი გაზის ხმარება ომის იარაღათ და კონვენცია კონტროლზე, იარაღის გატანასა და სამხედრო მასალაზე.

**გადაცემული გემების ეშელონი.**

მოკავშირეთადმი გადაცემული გერმანიის სამხედრო გემების მეთერთმეტე ეშელონი, რომელშიც შედის კრეისერი „შტრალზუნდი" და ნაღმოსანი № 130, სამშაბათს შერბურგში გავიდა.

**სოც. კონგრესი.**

**ჟენევაში** სოციალისტურ კონგრესის უკანასკნელ სხდომაზე ბელგიის იუსტიციის მინისტრმა ვანდერველდეს განცხადებამ, რომელიც ომამდე ინტერნაციონალის თავმჯდომარეთ იყო, დიდი კამათი გამოიწვია... (გამოურკვეველია) ..ვანდერველდემ დაუპირდაპირა ლონდონი, რომელიც დასავლეთ სოციალიზმის მიმზიდველია, ინგლისის მუშათა კლასს, რომელსაც ახასიათებს დისციპლინა და თავის მიზნის შეგნება. სოციალისტებმა უნდა აირჩიონ ამ ორი სიმბოლოს შორის, როგორც ეს უკვე განაცხადა გუისმანმა, ც რომელსაც მხარი დაუჭირა რენოდელმა. ვანდერველდეს სურდა სწორეთ ლონდონში ენახა სხდომები მეორე ინტერნაციონალისა, რომელიც ინგლისის პოზიტივიზმის გავლენით საჩქაროთ აჯგუფებს ყველა იმ სოციალისტებს, რომლებიც ბოლშევიკურ მირაჟებით არ არიან დაბრმავებულნი.

**გერმანული ცნობები.**

**გერმანიაში.**

(დასაწყისი არ მიგვიღია)... არას დროს გერმანიას საფრანგეთი ისე არა სძულდა, როგორც ეხლა. რასაკვირველია, ჯარის შეკრება და შეიარაღება ეხლა ადვილად შეიძლება, მაგრამ მეორე კითხვაა, შესაძლებელია ჯარი ვაიძულოთ, რომ იბრძოლოს? მეორე მცირე ჯგუფს ბალშევიკებთან წინააღმდეგ საბრძოლველად სურს წაიყვანოს ჯარი რათა ამგვარათ მოახდინოს რუსეთის რეორგანიზაცია, როგორც მისმა მეგობარმა და მოკავშირემ ვაჭრობაში. ამ ჯგუფს ემხრობიან რუსი-ლტოლვილები, რომელნიც საფრანგეთის წინააღმდეგ მიდიან და სულით და გულით სძულთ ინგლისი. მეორე ჯგუფში იმყოფებიან გერმანელი წითლები, რომელნიც ძალაუფლებაზე ოცნებობენ; ცაიტში აჯანყება ბალშევიკურ ხასიათს იღებს და სამხედრო სასამართლომ გამოაცხადა რაცაიტი საქსონიის სამრეწველო ოლქათ (დასასრული არ არის მიღებული)

**ბალშევიკების ცნობები.**

**სამხედრო ცნობა.**

**მოსკოვი.** აგვ. 4. ჩვენ დავიკავეთ ქ. ლომჟა და მაზოვეცკი, სადგური შეპეტოკო და მის დასავლეთით მდებარე კიდევ რამდენიმე ადგილი. ჩვენმა ჯარმა ბრძოლით ცეხანოვეცი აიღო და მდ. ბუგს მიუახლოვდა. სედლეცის მიმართულებით ჩვენ დავსძლიეთ მტრის წინააღმდეგობა. ტარნოპოლისა და ჩერტკოვსკის რაიონებში ჩვენ პოლონელებს ვავიწროვებთ მდ. სტრიპისკენ.

**ვრანგელის წინაალმდეგ.**

საგუბ. ალმ. კომიტეტის, ფაბრიკა-ქარხნებისა, პროფ. კავშირთა და სხვა ორგანიზაციათ შეერთებულ სხდომაზე პროლეტარიატის წარმომადგენლებმა გადასწყვიტეს საუკეთესო მებრძოლები გაგზავნონ სამხრეთის ფრონტზე ვრანგელის ბრბოების დასამარცხებლად, გამოცხადდა მოხალისეთა მობილიზაცია.

**ჩერჩილის წერილი.**

ინგლისის სახელმწიფო მოღვაწემ ჩერჩილმა დაბეჭდა წერილი, რომელშიაც წინადადებას აძლევს მოკავშირეებს შეკრან ზავი გერმანიასთან იმ მიზნით, რომ ბალშევიზმს შეერთებულად ებრძოლონ. ინგლისის გაზეთები საშინლად აალელვა ასეთმა კავშირის შესაძლებლობამ.

**დროებითი ზავის შეკვრამდე.**

ლოიდ ჯორჯი უარს აცხადებს კრასინისა და კამენევის მიღებაზე, სანამ პოლონეთთან დროებითი ზავი არ შეიკვრება.

**ვარშავაში.**

იმის შიშით, რომ შესაძლებელია ვარშავაში შესდგეს რევოლიუციონური მთავრობა, პოლონეთის მთავრობა აპირებს იქ დარჩენას.

**ვრანგელის ჯარი.**

მიიღეს თხოვნა გალიციაში, რუმინეთზე, ვრანგელის ჯარის ერთი კორპუსის გაშვების შესახებ.

**რუმინეთში.**

რუმინეთში საერთო საომარ მზადებასთან ერთად გამოცხადდა შინაური საქონლის რეკვიზიცია.

**ცეცხლი.**

**სარატოვი,** აგვ. 4. ქალაქში ცეცხლი გაჩნდა. იწვის 36 უბანი. ცეცხლისაგან განადგურებულია ქალაქის მეათედი ნაწილი.

**ცარიცინი,** აგვ. 1. თეთრების მიერ აფეთქებული ხიდი აშენებულია. განახლდა ამ ხიდზე მატარებლების მიმოსვლა.

**კონტრ-რევოლიუციონერთა ორგანიზაცია.**

**ეკატერინბურგი.** ივლ. 22 რკ. გზელთა პროფესიონალური კავშირი დაიშალა. ქ. ტროიცკში სამხ. საგ. კომიტეტმა აღმოაჩინა კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაცია რომელიც საბ. მთავ. წინააღმდეგ აჯანყებას ამზადებდა. ორგანიზაციას კავშირი ქონდა ციმბირთან, სადაც კოლჩაკის ოფიცერების შტაბი იმყოფება.

**რუმინეთის საზღვარზე**

თუმცა წითელი ჯარი მტრულ მოქმედებას არ იჩენს რუმინეთის წინააღმდეგ, მაგრამ ეს უკანასკნელი მაინც აგროვებს თავის ჯარს საზღვარზე.

**საგარეო ვაჭრობის კომისარიატი.**

**ბაქო.** ივლ. 20. სპარსეთთან, საქართველოსთან და სხ. სახელმწიფოსთან სავაჭრო დამოკიდებულების გამო ბაქოში გაიხსნა საგ. ვაჭრ. სახალ. კომისარიატი.

ჯანმრთელობის სახალ. კომისარიატი მოსკოვში იწვევს ყრილობას საექიმო განათლების საკითხების გამოსარკვევად.

**ლიონის რადიო სადგურიდან.**
(ინგლისურ ენაზე)

**პოლონეთის ახალი მთავრობა.**

პოლონეთის სოციალისტების ცნობილმა ლიდერმა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დაშინსკიმ შემდეგი განცხადება გააკეთა: საუბედუროთ, ჩვენი მთავრობა თავის დროზე არ იყო მოწვეული, რასაც პოლონეთის მდგომარეობა მოითხოვდა. მთელი ერის წინაშე მივიღეთ პასუხისმგებლობა ისეთ დროს, როდესაც ჩვენი ეროვნული ტერიტორია საბჭოთა იმპერიალიზმის საშიშროების ქვეშ იმყოფებოდა. პოლონეთის ყველა ძალის შეჯგუფების გადაწყვეტილებას არ შეეძლო საქმის მეთაურად არ წამოეყენებია ორი დიდი კლასის წარმომადგენლები—გლეხები და მუშები, ამგვარად მთავრობა დაიმედებულია, რომ საქმეს მშვიდობიანათ დაასრულებს. ახლანდელი მთავრობა იმედოვნებს და სჯერა, რომ ანტანტის დახმარება მას დროით მოუვა. პოლონეთის საზავო დელეგაცია გაემგზავრა წითელი ჯარის მთავარ შტაბში. იმედი აქვთ, რომ დროებით ზავზე ლაპარაკი უშედეგოთ არ ჩაივლის რამდენიმე დღის შემდეგ გვეცოდინება, მოგვიხდება თუ არა ჩვენი ქვეყნის იარაღით დაცვა, ან და ზავის ჩამოგდებაზე ლაპარაკი.

**საქართველოში არსებული რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლობის ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი.**

**ქემალისტების დაპატიმრება.**

**სტამბოლი,** 22 ივლისი. „ბოსფორ“-ის ცნობით სტამბოლის სამხედრო სასამართლო შეუდგა „ახალგაზრდა ოსმალთა“ სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარის და ადანაში მდგარ საარმიო კორპუსის სარდალი რეზიმ-ფაშას საქმის გარჩევას. რემზი-ფაშა მიიმალა. მას ბრალდება სამსახურში ბოროტ-მოქმედება.

**რეპრესიები სტამბოლის პრესის წინააღმდეგ.**

**სტამბოლი,** 22 ივლისი. აღიძრა საქმე გაზ. „ალემდარ“-ის წინააღმდეგ. გაზეთს ბრალდება ისეთი ცნობების მოთავსება, რომლებიც მღელვარებას გამოიწვევდა საზოგადოებრივ აზრში.

**ქემალისტების დახვრეტა.**

**სტამბოლი,** 16 ივლისი. „ბოსფორი“ სწერს, რომ ბოიკოსში მომხდარ ამბების გამო 110 მილეთელი დახვრიტეს.

**სამხედრო ცნობა, 4 აგვისტო.**

**მოსკოვი,** 5 აგვისტო. (რადიო ცნობა). ჩვენ დავიპყრეთ ქ. გომეა, მაზოვეცკი, სადგური შჩეპეტკო და მათ დასავლეთით რამდენიმე პუნქტი. ჩვენმა ნაწილებმა მკაცრი ბრძოლით ცეხანოვეცი აიღეს და მდ. დასავლეთ ბუგს მიადგენ მდ. ნურეცის შესართავთან.

სედლეცის მიმართულებით მტრის ძლიერი წინააღმდეგობა ვძლიეთ,

ბრესტ-ლიტოვსკის რაიონში მკაცრი ბრძოლები გრძელდება.

ქ. ლუცკთან პოლონელებმა გამაგრებული პლაცდარმი მიატოვეს და მდ. სტირზე ხიდი ააფეთქეს.

ქ. ბროდის რაიონში მკაცრი ბრძოლა გრძელდება.

ტარნოპოლის და ჩერტკოვის რაიონში პოლონელებს მდ. სერეტისკენ ვავიწროვებთ.

ყირიმის ნაწილში მკაცრი ბრძოლაა. გამარჯვება ხან ერთ, ხან მეორეს მხარეზეა.

# იტალიის სააგენტოს ცნობა

ერთა ლიგის საბჭომ მოიწონა ტიტონის მოხსენება, რომელიც წინადადებას იძლეოდა, რომ ხალხთა ლიგას დაენიშნა შერეული კომისია, ეკონომიური ბლოკადის ცხოვრებაში გასატარებლად იმ სახელმწიფოებში, რომელნიც ხალხთა ლიგის დადგენილებებს ეწინააღმდეგებიან.

**ვარშავა.** პოლონეთის მთავრობამ დეპეშა გაუგზავნა საბჭოთა მთავრობას დროებითი ზავის კონფერენციაზე ჟურნალისტების დაშვების შესახებ. საბჭოთა მთავრობამ უარით უპასუხა.

**ვარშავა.** პოლონეთის ჯარში მრავალი ინგლისელი და ამერიკელი ეწერება მოხალისედ. (სდს).

# საბერძნეთის მისიის ცნობა

დასრულდა სმირნის ვილაეტის მთელი ტერიტორიის ოკუპაცია. საოკუპაციო ზონა პირდაპირ მიდის იტალიის საოკუპ. ზონასთან. ისინი გაყოფილია მდ. მეანდრით.

ადრიანოპოლში მოვიდა და მთელი ფრაკიის მართველობა მიიღო უმაღლესმა კომისარმა სახტურისმა. მას თან მოყვნენ ახლად დანიშნული ადმინისტრაციის წევრები. ჯარის მთავარსარდალმა განკარგულება გასცა დაკავებულ ტერიტორიის მცხოვრებთა პროდუქტებით უზრუნველყოფის შესახებ.

მეფის ბრძანებით პარლამენტის რწმუნებულება 3 თვით კიდევ გაგრძელდება.

სალონიკიდან იუწყებიან: პარიზში გაემგზავრა ალბანეთის დელეგაცია ვენიზელოსთან შესახვედრათ და საბერძნეთ ალბანეთის სადაო საკითხების გამოსარკვევათ.

პოლონეთის ელჩი ზელინსკი ათინაში მოვიდა. ის მეფემ საზეიმო აუდენციაში მიიღო.

აღმოსავლეთ ფრაკიის ოკუპაცია დასრულდა. ტაიარმა ვერავითარი წინააღმდეგობის გაწევა ვერ შესძლო, რადგან მის ავანტიურას მცხოვრებლები არ მიემხრენ. (სდს.)

# მთავრობაში

27 ივლისის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა: ეპიდემიასთან საბრძოლველად 20 მილიონი მანეთი გადაიდოს. კრედიტი უნდა გადაეცეს შინ. საქმეთა მინისტრს მის განკარგულებაში. იგი ამის შესახებ სათანადო დეკრეტს დამფუძ. კრებაში შეიტანს,

— მოისმინა რა განცხადება მეჯლისის წარმომადგენელთა ბათომის ოლქში მართვა-გამგეობის მოწყობის შესახებ, მთავრობა ადგენს: არსებულ პირობებში შესაძლებელია ოლქში მოეწყოს მხოლოდ საგანგებო მართვა-გამგეობა, შეფარდებული სამხედრო წესებთან. ხოლო მშვიდობიანი ცხოვრების დამყარების შემდეგ სამოქალაქო მმართველობის მოსაწესრიგებლად დამფუძნებელ კრებაში წარდგენილ იქნება ახლო მომავალში კანონ-პროექტი დემოკრატიულ საარჩევნო უფლების ნიადაგზე აგებულ ავტონომიურ მმართველობის ცხოვრებაში გატარებისა (ს. დ. ს).

# ახალი ამბები

**დღეს,** საღამოს 6 საათზე დანიშნულია საქ. ს. დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის მორიგი სხდომა.

**დამფუძნებელი კრების** სხდომა მოხდება 6 აგვისტოს დღის 12 საათზე. თუ დანიშნულ დროზე კვორუმი არ შესდგა სხდომა დაიხურება.

✦ **შაბათს,** 7 აგვისტოს, დღის 12 საათზე მუშათა სასახლეში დანიშნულია რუსეთში მიმავალ მუშათა დელეგატების საერთო კრება. სთხოვენ დელეგაციის წევრებს აუცილებლად მოვიდნენ.

✦ **სამხედრო ცნობა.** ბათომის ოლქის ჭოროხის იქითა მხარე ჩეტნიკთა ბრბოებისაგან გაიწმინდა. დანარჩენ მიმართულებებზე სიწყნარეა.

✦ **საბჭოთა რუსეთის შიკრიკის დაღუპვა.** საქართველოში მყოფმა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლობამ საგარეო საქმეთა სამინისტროს შეატყობინა: მიღებულ ცნობებით ივლისის 29 სადგურ მცხეთის ახლო მდ. მტკვრის და არაგვის შესართავთან დაიხრჩო მისიის დიპლომატიური შიკრიკი კესლერი, რომელიც კავკავიდან სომხეთს მიდიოდა. ამის შესახებ ამცნეს იუსტიციის სამინისტროს, რომელმაც დაუყოვნებლივ მიანდო საპროკურორო ზედამხედველობას ყველა იმ გარემოებათა გამორკვევა, რომელშიც დაიღუპა საბჭოთა მისიის დიპლომატიური შიკრიკი.

**საქართველოს ქვეშევრდომობის მიღების** წესი გამოაქვეყნა ქალაქის თვითმმართველობამ. თანახმად ამ წესისა, რომელიც ქალაქის საბჭომ დაამტკიცა, საქართველოს ქვეშევრდომებათ ჩაითვლებიან ის პირნი, რომლებიც 1914 წ. ივლისის 19-მდე, ძველი სტილით, ამა თუ იმ ადმინისტრატიულ ერთეულზე იყვნენ მიწერილნი. რაც შეეხება იმ პირთა ქვეშევრდომობის უფლების ალიარებას, რომლებმაც ამის შესახებ შესაფერისი შუამდგომლობა აღძრეს, თანახმად მოქალაქეობის კანონის მე-7 მუხლისა, საქართველოს ქვეშევრდომობის მისაღებად საჭიროა, რომ ამ პირმა საქართველოს ტერიტორიაზე განუწყვეტლად 2 წელიწადი იცხოვროს. სათანადო შუამდგომლობა უნდა აღიძრას ადგილობრივ თვითმართველობის წინაშე, რომელმაც თხოვნის მიცემიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ მთხოვნელს მოქალაქეობის უფლება უნდა მისცეს. ასეთი უფლება მიეცემა იმ პირს, რომელიც საზოგადოებისათვის და ან სახელმწიფოსათვის საშიშარ, ან მავნე პიროვნებას არ წარმოადგენს. იმ მთხოვნელმა, რომელიც საქართველოს ქვეშევრდომობის უფლებას ითხოვს, შუამდგომლობის აღძვრის შემდეგ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განუწყვეტლივ უნდა იცხოვროს. სათანადო მოქალაქეობის მოწმობებს ქალაქში ქალაქის თვითმართველობა იძლევა, მაზრებში კი სამაზრიო თვითმართველობები. (სდს).

✦ **ყალბ ფულების მკეთებელთა დასჯა.** მთავრობამ განიხილა რა კანონ-პროექტი ყალბ ფულების მკეთებელთა სასჯელის გაძლიერების შესახებ, მოიწონა იგი და დაადგინა: კანონ-პროექტი გადაეცეს იუსტიციის მინისტრს დამფუძნებელ კრებაში წარსადგენათ, ამასთანავე იუსტიციის მინისტრს ევალება დამფუძნებელ კრებაში საკითხის გარჩევის დროს, აღძრას საკითხი, რომ სასჯელში გათანასწორებულ იქნან, როგორც წინასწარ განზრახვით ყალბი ფულის გამკეთებელნი, აგრეთვე მათი გამსაღებელნი: ორივე კატეგორიის დამნაშავენი დაისჯებიან სამუდამო კატორღით.

✦ **სატარიფო პალატაში.** სატარიფო პალატის პრეზიდიუმმა დაადგინა: 1) სალიკვიდაციო ჯილდოსა და ზედმეტი ნაშრომისათვის ფასის განსაზღვრის დროს ერთდროული დახმარება არ უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული. 2) დადგენილ იქნეს სამი კატეგორია ქიათურის რაიონის კოოპერატივების მოსამსახურეებისა. პირველი კატეგორია ღებულობს თვეში 2000 მან.—მეორე 1500 მან. და მესამე 1000 მ. 3) დაწესდეს ტარიფი იმ პირებისათვის, რომელნიც სურსათ-სანოვაგეს არ ღებულობენ. ამ ტარიფის დროს უნდა იხელმძღვანელონ ოფიციანტების ტარიფით.

✦ **იუსტიციის მინისტრის გამგზავრება.** აგვისტოს 4, საღამოთი, თფილისიდან ბათომს, სენატის პროკურორ გელაზარაშვილის თანხლებით გაემგზავრა იუსტიციის მინისტრი რ. არსენიძე.

✦ **მუშების ექსკურსია ბათომში.** აგვისტოს 7, შაბათს, მეთამბაქოეთა პროფ. კავშირის ინიციატივით, ბათომში მიემგზავრება მუშების ჯგუფი რიცხვით 120 კაცი. გამგზავრების მიზანია. ბათომისა და ბათომის ოლქის საქართველოზე შემოერთების გამო მიესალმენ ბათომის მუშებს და გაეცნონ მათ ცხოვრებას. აღნიშნულ ჯგუფთან ერთად მიემგზავრებიან: თფილისის პროფ. კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ხელაძე, პროფ. კავშირის საბჭოს სეკრეტარიატის წარმომადგენლები და სხვა მოსამსახურეთა წარმომადგენლები. რკინის გზის სამმართველომ მუშებს ორი ვაგონი დაუთმო.

✦ **მამულების კონფისკაცია.** აფხაზეთის კომისარიატის მიწად მოქმედების განყოფილებამ ქ. სოხუმის ახლო მდებარე ახალ ათონის სიმონ-კანანელის მონასტერს გამოუცხადა, რომ მონასტრის მამული, რომელიც გუდაუთის მაზრაში იმყოფება, ერთმევა მას. იგი გადაეცემა რესპუბლიკის კულტურულ მამულების ფონდს. მონასტერს ეძლევა უფლება ამ მამულის იჯარით აღებისა, ხოლო წინდაწინ უნდა შეიტანოს იჯარის განსაზღვრული ფული მონასტრის რწმუნებულმა მიმართა მიწად-მოქმედების სამინისტროს თხოვნით, რათა მათ იჯარა შეუმცირონ. მონასტრის შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქნა.

✦ **კულტურულ-ტეხნიკური სასწავლებელი.** მიწად-მოქმედების მინისტრმა თფილისის კულტურულ-ტეხნიკურ სასწავლებლის ინსპექტორათ აგრონომი ვ. ფალავანდიშვილი დანიშნა.

✦ **რუსეთში მუშათა დელეგაციის გამგზავრების შესახებ.** საქ. პროფ. კავშ. ცენტრალურ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენლებმა აბდუშელიშვილმა და ხელაძემ მუშათა დელეგაციის წარმომადგენელ დგებუაძესთან და ამ დელეგაციისვე მდივან რუხაძესთან ერთად ინახულეს საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი მუშათა დელეგაციის რუსეთში თავისუფლად შესვლის საკითხის გამოსარკვევად. თავის მხრივ გეგეჭკორი დაჰპირდა მათ დახმარებას და გამოსთქვა აზრი, რომ საბჭოთა მთავრობას არავითარი საწინააღმდეგო ექნება ჩვენი დელეგაციისაო. ამასთანავე 1 აგვისტ. პროფ. კავშირთა ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიმართა გეგეჭკორს შემდეგი ოფიციალური წერილით: „საქართველოს პროფ. კავშირთა ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტი გთხოვს თქვენ საბჭოთა რუსეთის მთავრობის წინაშე აღძრათ შუამდგომლობა მუშათა დელეგაციის გაშვების შესახებ. ამ დელეგაციაში შედის 15 დელეგატი და 2 მდივანი. დელეგაციას მიზნათ აქვს რუსეთის მუშათა კლასის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის და აგრეთვე მრეწველობის ადგილობრივ შესწავლა. მუშათა დელეგაციას ამასთანავე მიზნათ აქვს რუსეთის მუშებისათვის საქართველოს მუშათა მდგომარეობის გაცნობა.

✦ **მუშათა დელეგაცია.** სოხუმის პროფ. კავშირთა საბჭომ მიმართა საქართველოს ცენტრალურ პროფ. კავშირს თხოვნით, რათა საბჭოთა რუსეთში მიმავალ დელეგაციაში მათ დაუთმონ ერთი ადგილი.

✦ **დადგენილია სწრაფი მატარებლების** მიმოსვლის დროებით შეწყვეტა.

**კირის ქარხანა.** გზ-თა მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა ტყიბულის მაღაროებში არსებული კირის ქარხნის შესყიდვა.

**კომენდანტის სამმართველო.** მთავრობამ დაადგინა გზათა მინისტრის განკარგულებაში გადაიდოს საჭირო თანხა სადგურთან კომენდანტის სამმართველოს ასაშენებლად.

✦ **რკინის გზაზე ზედმეტი მუშაობა** მთავრობამ დაადგინა: გზათა მიმოსვლის დეპარტამენტის მოსამსახურეთა და მუშათა მისაცემი ფული 6 თვის ზედმეტ სამუშაოსი, რომელიც 102,000 მან. უდრის, გადაიდოს 10 მილ. ფონდიდან.

✦ **პურის გატანის წინააღმდეგ.** ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილება შეუდგა ყველა გზატკეცილებზე საკუთარ სადარაჯოების ორგანიზაციის მოწყობას, რომ პურის გატანას ხელი შეუშალოს:

✦ **30.000 ფუთი ქაღალდი.** მომარაგების სამინისტროდან იუწყებიან: რუსეთ-აზიის ბანკმა, რომელმაც 30.000 ფუთი ქაღალდის მოტანის პირობა დაგვიდო, დღემდის არ ასრულებს თავის დანაპირებს. ამის გამო მომარაგების სამინისტრომ ბანკს გაუგზავნა ნოტარიალური განცხადება და მოსთხოვა, რომ ხუთი დღის განმავლობაში შეასრულოს თავისი პირობა. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმეს სასამართლოს გადასცემენ.

✦ **ნავთი.** თბილისში დაბრუნდა სათბობი მასალის განმანაწილებელ ბიუროს წევრი ა. რუხაძე, რომელმაც აღრიცხა ბათომში არსებული ნავთის პროდუქტები და ამის შესახებ მოხსენება გაუკეთა ბათომის განსაკუთრებულ კომისარს და სათბობი მასალის განმანაწილებელ ბიუროს. მოხსენების მიხედვით ბათომს ყოველთვიურად სჭირდება 18,375 ფუთი ნავთი. ამას გარდა ბათომს ოქტომბრის 1-დის სჭირდება 13,570 ფუთი ნავთი დენატურატი—500 ფ. მანქანის ზეთი და 3000 ფუთი მოტორის ზეთი. გამონანგარიშებულია აგრეთვე ნავთისა და ბენზინის საჭიროების რაოდენობა გემებისა და შარა-გზების სამმართველოსათვის. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ამ ჟამად წმინდა ნავთსა და ბენზინს არ იძლევიანო. ბათომსა და მის ოლქში სულ ნავთის პროდუქტები არის: კეროსინი—486,840 ფ. ნავთის დენატურატი—339,653 ფუთი ბენზინი 2000 ფ. სულ ნავთის პროდუქტი არის 997,184 ფუთი. ამგვარათ—ათავებს მომხსენებელი თავის მოხსენებას, ბათომისა და მისი ოლქის საჭიროება დაკმაყოფილებული იქნება 5 თვის განმავლობაში. 20 ათასი ფუთი ზეთი და 200,000 ფ. კეროსინი კი შეიძლება საზღვარ გარეთ გავიტანოთ.

✦ **გორის მაზრის სკოლის აღდგენის** საკითხის შესახებ მთავრობამ დაადგინა: ამ მიზნით სახელმწიფო ხაზინიდან სახალხო განათლების მინისტრის განკარგულებაში გადაიდოს 20 მილ. მან. ეს დადგენილება ძალაში შედის დღიდან ამისი მიღებისა. დამფუძნებელ კრებაში სახალხო განათლების სამინისტრომ სათანადო დეკრეტი უნდა შეიტანოს.

✦ **ქალთა შრომის რაზმი.** მთავრობამ პრინციპიალურად მოიწონა ქართველ ქალთა შრომის რაზმისათვის ერთდროულ დახმარების მიცემის საკითხი და გადასწყვიტა იგი დასასკვნელათ თავდაცვის საბჭოს გადასცეს.

✦ **ბარგის გაგზავნა რიგს გარეშე.** ერობათა კავშირის კომიტეტმა რკ. გზ. სამმართველოს მიმართა შუამდგომლობით იმის შესახებ, რომ ბარგი, რომელიც კომიტეტის მიერ იგზავნება თავის გასამზადებელ ადგილებში იგზავნებოდეს რიგს გარეშე, რადგანაც ერობათა კავშირი ემსახურება ჯარსა და გვარდიას.

✦ **ერობათა კავშირის კომიტეტმა** შვეიცარულ ერთ ერთ კომპანიისაგან მიიღო წინადადება, რომ იგი დაეხმარება კომიტეტს მის სავაჭრო ოპერაციებში ევროპის ბაზარზე.

**კ რ ე ბ ე ბ ი.**

კვირას, 8 აგვისტოს, დილის 9 ს. მუშათა სასახლის დარბაზში (მეხუთე სართული) შესდგება მშენებელ მუშათა კავშირის წევრების საზოგადო კრება. თუ დილის 9 საათზე კრება არ შესდგება კანონიერ ქვორუმის უქონლობის გამო, მაშინ შემდეგი სხდომა შესდგება იმავე დღეს, დილის 10 საათზე.

— პარასკევს, 6 აგვისტოს საღამოს 7 ს, ქალაქის საერთო საავათმყოფო კასის შენობაში შესდგება საავათმყოფო კასების ექიმთა კრება.

# კრასინის მოხსენება მოსკოვის სოვდეპში

9 ივლისს ინგლისიდან დაბრუნებულმა საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელმა კრასინმა მოსკოვის საბჭოში წაიკითხა მოხსენება ლონდონში საბჭოთა დელეგაციის მოქმედების შესახებ. მოგვყავს ეს მოხსენება შემოკლებით საბჭოთა გაზ. „გუდოკ“-ის გადმოცემით.

„მიმდინარე წლის იანვარში,—ამბობს კრასინი,—გამარჯვებულ სახელმწიფოთა უმაღლესი საბჭო ბოლოს და ბოლოს დარწმუნდა, რომ შეუძლებელია საბჭოთა რუსეთის დაძლევა და 24 იანვარს ბლოკადის მოხსნა გადასწყვიტა.

ინგლისმა წინადადება მოგვცა მასთან სავაჭრო ურთიერთობა ვაწარმოოთ კოოპერატიულ ორგანიზაციების საშუალებით. ამ წინადადებაზე ჩვენ დავთანხმდით.

საბჭოთა რუსეთიდა რუსეთის კოოპ. ცენტრ. კავშირის სახელით მოლაპარაკების საწარმოებლათ ინგლისში გაემგზავრა ჩვენი დელეგაცია, სადაც შედიოდა: კრასინი, ლიტვინოვი, ნოგინი და როზოვსკი.

ოფიციალურ ინგლისს დელეგაცია პირველათ შეხვდა კოპენჰაგენში. ამ შეხვედრას არა ჰქონდა გულითადი ხასიათი. ინგლისმა პირველ ყოვლისა განაცხადა, რომ ყოველგვარი მოლაპარაკება შეიძლება სწარმოებდეს მხოლოდ ლონდონში, სადაც მიიწვევს დელეგაცია, მაგრამ... პატარა პირობით: დელეგაციის შემადგენლობისაგან უნდა გასულიყო ლიტვინოვი, ყოფილი საბჭოთა ელჩი ინგლისში და შემდეგ იქიდან განდევნილი. საჭირო გახდა მოსკოვთან მოლაპარაკება და ბოლოს ამ „გარეშე“ მოლაპარაკებამ კომისიას წაართვა ძვირფასი დრო—6 კვირა.

რასაკვირველია, ფორმულა „სავაჭრო ურთიერთობა საბჭოთა ძალაუფლების უცნობლათ“ თეთრი ძაფით ამოქარგული აღმოჩნდა. ყველა ოფიციალური მოლაპარაკება, ცხადია სწარმოებდა არა როგორც რუსეთის კოოპერაციის წარმომადგენლებთან, არამედ როგორც დიდი საბჭოთა სახელმწიფოს სრულუფლებიან წარმომადგენლებთან, და სახელი „რუსეთის ცენტრალური კოოპერატიული კავშირი“ არც კი უხსენებიათ არც ერთხელ. სხდომები სწარმოებდა ინგლისის პრემიერის სასახლეში: ზოგ სხდომას კაბინეტი მთელი შემადგენლობით ესწრებოდა. მოლაპარაკების დროს დაცული იყო ორივე მხარის სწორუფლებიანობის აღიარება. სხდომებზე უმთავრეს როლს ლოიდ ჯორჯი თამაშობდა.

პირველ ყოვლისა დელეგაციამ ინგლისს მოსთხოვა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მასთან მეომარ მხარეთა დახმარებით სამხედრო მოქმედების შეწყვეტა. „თუ გნებავთ ჩვენი ხელი—შეაკავეთ პოლონეთი, შეაკავეთ ვრანგელი“.

ლოიდ ჯორჯმა ამაზე პირმოთნეობით განაცხადა, რომ ინგლისი თავის თავზე ვერავითარ პასუხისმგებლობას ვერ იკისრებს პოლონეთის გამოსვლისთვის, რადგან მასში იგი არ იღებს არავითარ მონაწილეობას. დელეგატებმა მოითხოვეს აგრეთვე ბლოკადის ფაქტიურათ მოხსნა. მოითხოვდნენ აგრეთვე, რომ საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლები ინგლისში გადააყენონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინგლისის კანონები დაარღვიეს. ბოლოს და ბოლოს ამ მოთხოვნილებათა წინააღმდეგ ინგლისს არაფერი აქვს. სამხედრო ტყვეების გაცვლის საკითხს აზრთა დიდი სხვადასხვაობა არ გამოუწვევია.

ინგლისმა მოითხოვა კერძო პირთა ვალების აღიარება. დელეგატებმა მიუთითეს, რომ ასეთი საკითხი შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ საზავო მოლაპარაკების დროს,—მხოლოდ მაშინ გამოირკვევა თუ ვის ვისი მართებს. რუსეთი ინგლისში არ უნდა აწარმოებდეს კომუნისტურ პროპაგანდას—მოითხოვდა ლოიდ ჯორჯი. დელეგატების პასუხი ასეთი იყო: ინგლისის მუშები თვით ეცდებიან მოაწყონ თავისი ბედი და ინგლისში კომუნისტურ ლიტერატურის შეტანისთვის თვალყურის დევნება ინგლისის საბაჟოთა ზედამხედველობის საქმეა.

ყველა მოლაპარაკებაში მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა უმაღლესი ეკონომიური საბჭო, რომელმაც დელეგაციას გადასცა საანკეტო ფურცელი 16 კითხვით; თავის მხრით დელეგაციამ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს მთელი რიგი კითხვებისა დაუსვა და ბოლოს და ბოლოს მოლაპარაკებამ მეტის მეტი გაჭიანურებული ხასიათი მიიღო. დელეგაციამ გადაჭრით მოითხოვა მოლაპარაკების დაჩქარება, მით უმეტეს, რომ ყველაფერი უკვე გამორკვეული იყო. ინგლისმა თავისი მხრით მოსთხოვა დელეგაციას გადაწყვეტილი და საბოლოო პასუხი, რისთვისაც ვადა დაუნიშნა 9 ივლისისთვის.

საბოლოო პასუხი, ცხადია, მოსკოვს ეკუთვნოდა და დელეგაციამ მოითხოვა მისთვის საშუალება მიეცათ მოსკოვში წასასვლელათ.

დელეგაციას მის განკარგულებაში კონტრ-ნაღმოსანი გადასცეს და რამდენიმე დღეში იგი უკვე კრემლში იყო.

კრემლმა 7 ივლისს უკვე გასცა პასუხი პრინციპიალური თანხმობით, და ამნაირათ, განაცხადა კრასინმა—ჩვენ ვდგევართ ანტანტის დაშლის დიადი აქტის წინაშე: ინგლისის გამოყოფით ხომ ფაქტიურათ დაიშლება თვით ანტანტა.

დასასრულ კრასინმა განაცხადა: სჩანს, მოლაპარაკება თავის ლოღიკურ და ჩვენთვის სასარგებლო დასასრულამდე მივიდა, მაგრამ მაინც მისი დაცვა-გამაგრება დამოკიდებულია მხოლოდ ჩვენ მამაც წითელ არმიაზე. მხოლოდ მისმა წარმატებამ ყველა ფრონტებზე, მისმა განუწყვეტელმა გამარჯვებებმა კოლჩაკსა, დენიკინსა, იუდენიჩზე და ახლა პოლონეთის ფრონტზე—მხოლოდ ამ გამარჯვებებმა მოგვცა საშუალება ჩვენდა სასარგებლოთ დაგვესრულებინა ჩვენი დიპლომატიური მისია. თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ სხვანაირათ დაგველაპარაკებოდენ.

# სომხეთში.

**სომხეთი და საბჭოთა რუსეთი.** სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ოგანჯანიანმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნა თფილისში რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენელს ლეგრანს უკანასკნელის 29 ივლისის დეპეშის საპასუხოთ:

„ჩემს მთავრობას არა ერთხელ აღუნიშნავს წინააღმდეგობა, რასაც ადგილი აქვს საბჭოთა მთავრობის კეთილ განზრახვებით სავსე სიტყვებსა და საბჭოთა მთავრობის ადერბეიჯანელ წარმომადგენლების მოქმედებათა შორის. მაშინ, როდესაც მოსკოვის მთავრობა ირწმუნება, რომ მტკიცეთ აქვს განზრახული დაეხმაროს ტანჯულ სომხეთის ხალხს,—სომხეთის საზღვრებზე საბჭოთა ძალები სომხეთის სამტრო მოქმედებას აწარმოებენ. წინააღმდეგ საბჭოთა მთავრობის რწმუნებისა, რომ იგი ცდილობს გაადიდოს სომხეთის ტერიტორია, ნამდვილათ ამცირებენ ამ ტერიტორიას: იჭერენ ყარაბაღს, შემდეგ ზანგეზურსა და ბოლოს ნახიჩევანს. ადერბეიჯანში მყოფ საბჭოთა ჯარების უფროსები ულტიმატუმებს გზავნიან ამა თუ იმ ტერიტორიის დაცლის შესახებ. ასეთი ულტიმატუმი გამოგზავნა 3 აგვისტოსაც საბჭოთა მე-11 არმიის უფროსმა ვასილენკომ; იგი მოითხოვს თავისი ჯარების ზანგეზურში და ნახიჩევანში გაშვებას თითქოს იმ მიზნით, რომ ბოლო მოეღოს ნაციონალურ შუღლს. ულტიმატუმის ვადა 5 აგვისტოს გადის. საბჭოთა მთავრობამ უნდა აღიაროს, რომ ასეთი მოქმედებები მიზნათ ისახავენ ძველი მუსავატელების საქმის კეთებას—სომხეთის გზით შეერთებოდენ იმპერიალისტურ ოსმალეთს. ასეთ პირობებში ძალას ჰკარგავენ საბჭოთა მთავრობის სიტყვები და ადერბეიჯანელების მოქმედებას ეძლევა სომხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო მოქმედებათა ხასიათი. „ამ მომაკვდინებელ საფრთხის წინაშე სომხეთის ხალხი თავის მხრივ იძულებული გახდება მიმართოს თვითეულ ხალხის წმინდა უფლებას, — დაიცვას ყოველგვარ ზომებით თავისი დამოუკიდებლობა და საზღვრების ხელუხლებლობა. ჩემი მთავრობა და მთელი სომხეთის ხალხი გულწრფელათ მიისწრაფოდენ და მიისწრაფიან დაამყარონ მეგობრული დამოკიდებულება საბჭოთა რუსეთთან. ამ მიზნით ჩემმა მთავრობამ ჯერ კიდევ მაისში გაგზავნა მოსკოვში საზავო დელეგაცია საბჭოთა მთავრობასთან ხელშეკრულების დასადებათ; და თუ ეს ხელშეკრულება დღემდეც არ დადებულა, ამაში ყოველშემთხვევაში დამნაშავე არ არის სომხეთის მთავრობა და მისი გულწრფელი მისწრაფებები. და ეხლა მთავრობას შეუძლია მხოლოდ მიესალმოს ასეთ ხელშეკრულებას; მაგრამ ამასთანავე მას უფლება აქვს მოითხოვოს, რომ სომხეთის წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო მოქმედებათა შეჩერებით და მის ტერიტორიიდან ჯარების გაყვანით, საბჭოთა მთავრობა შექმნის გარანტიას, ურომლოთაც შეუძლებელია ჩვენსა და თქვენს მთავრობებს შორის აზრთა თავისუფალი გაცვლა-გამოცვლა; უამისოთ ძნელი დასაჯერებელი იქნება მოსკოვის კეთილი განზრახვები.

აღძრულ საკითხების შესახებ თქვენთან მოლაპარაკების საწარმოებლათ ჩემი მთავრობა ამ დღეებში გამოგზავნის თავის ორ წარმომადგენელს თფილისში“.

ხელს აწერს საგ. საქ. მინ. **ოგაჯანიანი.**

# ბათომში

**ბათომი.** (საკ. კორესპ.) ბათომისა და ბათომის ოლქის განსაკუთრებულმა კომისარმა გამოსცა სავალდებულო დადგენილება, რომლის ძალით ბათომის ტერიტორიაზე არსებული მთელი ნავთის პროდუქტი აღრიცხულია. დაწესებულებებს და წარმოებებს ნავთი მიეცემათ თანახმად დამტკიცებულ გეგმისა. ბათომის მცხოვრებთ გაზაფხულის თვეებში ოჯახზე ერთი გირვანქა ნავთი მიეცემათ, ოლქის მცხოვრებთ კი ხუთი გირვანქა. ბაზარზე ნავთის პროდუქტებზე შემდეგი ფასები არის დაწესებული: ფუთი კეროსინი 225 მან., ნავთი და მაზუთი 150 მან., ბენზინი 850 მან. და სხვ. ოლქისათვის დაწესებულია შემდეგი ფასები: კეროსინი 300 მან. ფუთი, ნავთი და მაზუთი 200 მან., ბენზინი 900 მან. და სხვ. ბათომის თვითმართველობამ მომარაგების სამინისტროდან შემდეგი ცნობა მიიღო: მომავალ პურის კამპანიაში საქართველოს შეუძლია თითქმის დაკმაყოფილდეს თავის საკუთარი პურით. შესაძლებელია საზღვარ-გარეთიდან შემოვიტანოთ სულ ცოტა პური, მაგრამ არა ფქვილის, არამედ ხორბლის სახით. მომარაგების სამინისტრო წინადადებას აძლევს ბათომის ქალაქის თვითმართველობას სასწრაფოდ მოაწესრიგოს და აამუშაოს ქალაქის წისქვილები.

**ბათომი.** (საკ. კორესპ.) კონსტანტინოპოლიდან იტყობინებიან: აგვისტოს 10 ლონდონში შესდგება კონფერენცია, რომელზედაც გადაწყდება საბოლოოდ რუსეთის საკითხი. რუსეთის წარმომადგენლებად ამ კონფერენციაზე იქნებიან კრასინი და კამენევი. ლოიდ ჯორჯი წინადადებას იძლევა მოიწვიონ ამ კონფერენციაზე რუსეთის ყოფილი ტერიტორიაზე ყველა ახლად დაარსებულ სახელმწიფოთა წარმომადგენლები. შესაძლებელია აგრეთვე ამ კონფერენციაზე ვრანგელისა და უკრაინის წარმომადგენლებიც მოიწვიონ. საფრანგეთი მოითხოვს ბალშევიკებსა და მოხალისეებს შორის ზავის ჩამოგდებას, მხოლოდ იმ პირობით, თუ ყირიმს აღიარებენ დამოუკიდებელ ერთეულად, რომლის სათავეში გენ. ვრანგელი იქნება. ამ შემთხვევაში ყირიმის ტერიტორია უნდა გაფართოვდეს ხერსონისა და ეკატერინოსლავის გუბერნიების ხარჯზე. საფრანგეთის პრესა იუწყება, რომ მოსკოვის მთავრობა დასთანხმდა ლონდონის კონფერენციაზე მონაწილეობის მიღებაზე, მხოლოდ მოითხოვს, რომ ამ კონფერენციას მოკავშირეთა სახელმწიფოების წარმომადგენლებიც დაესწრონ. ინგლისის მთავრობა ამაზე დასთანხმდა:

**ბათომი,** (საკ. კორესპ.) ბათომში არსებული ელინთა საბჭოს ორგანო ბათომის ადმინისტრაციის შესახებ სწერს: „ყველა მოქალაქე გულწრფელ სიხარულს გამოსთქვამს იმ ენერგიულ ზომების გამო, რომლებსაც მიმართა ადმინისტრაციამ მოქალაქეთა უზრუნველსაყოფად, ქალაქში წესრიგის დასაცავად და სანიტარულ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ, რაც აქ საქართველოს ძალა-უფლება დამყარდა, მხოლოდ 25 დღემ განვლო, ქალაქი მავნე ელემენტებისაგან მაინც გაიწმინდა და ქუჩებში ამ ჟამად არც მკვლელობასა და აღარც ძარცვა გლეჯას ადგილი არა აქვს. ქალაქში სიწყნარეა. მოქალაქეთა ცხოვრების ჰიგიენური პირობები გაუმჯობესდა“. (სდს)

# გორის აღდგენა

იუსტიციის სამინისტრომ მთავრობაში სასწრაფოთ განსახილველად შეიტანა პროექტი დეკრეტისა, რომელიც ეხება კერძო პირთა დაუსახლებელ ადგილების ჩამორთმევას გორის სასარგებლოდ, რათა ამ ადგილებზე მომავალში სახლები ააშენონ. კანონ-პროექტი კერძო პირების იმ მამულის ჩამორთმევას

გულისხმობს, რომლებიც ერთობის, ქორდანიას სახლობის და მეჯვრისხევის ქუჩების გასწვრივ მდებარეობს, მიწის მეპატრონეთ დაუტოვებენ 1200 კვ. საჟ. ამ ნორმის გადიდება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩამოსართმევი ბაღი კულტურულ მამულს წარმოადგენს და თუ ამ ჩამორთმევით ბაღის კულტურას დაზიანება მოელის. ჩამორთმეულ ადგილების მეპატრონეთ ამავე ღირებულების ადგილები მიეცემათ სხვა რაიონებში. ჩამორთმეულ ადგილების ღირებულების გამოსარკვევად უნდა შესდგეს შერეული კომისია, რომელშიაც შევლენ გორის ქალაქის თვითმართველობის, მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტის და ჩამოსართმევ ადგილების მეპატრონეების წარმომადგენლები. ამ კომისიის დადგენილება უნდა იყვეს საბოლოო. დადგენილების სასამართლოს წესით განსაჩივრება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში. თუ მიწის პატრონი განაცხადებს, რომ იგი არ არის კმაყოფილი ახალი ადგილით. ჩამორთმეული ადგილები ცალკე უბნებად იქნება დაყოფილი. თითო უბანი 400 კვ. საჟენი იქნება. იგი გადაეცემა უმიწაწყლოს იმ პირობით, თუ ერთი წლის განმავლობაში იგი ამ მიწაზე ააშენებს სახლს. (სდს).

## საად.-მამულო რეფორმა

ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობამ მიწათ-მოქმედების სამინისტროს წარმოუდგინა პროექტი საფონდო მიწების განაწილებისა ნიგოითის, ლანჩხუთის, აკეთის და ბასილეთის სააგრარო რაიონებს შორის. თანახმად ამ პროექტისა საფონდო მიწები ხარისხებისა და რაიონების მიხედვით ასე დანაწილებული:

| | 1 კატ. ქცევა | 2 კატ. ქცევა | 3 კატ. ქცევა | 4 კატ. ქცევა | ერობის განკარგულებაში 1 ქ. | 2 ქ. | 3 ქ. | 4 ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნიგოითის რაიონი | 3000 | 958 | 600 | — | 240 | — | — | — |
| 2. ლანჩხუთის „ | 340 | 275 | — | — | 106 | — | — | — |
| 3. აკეთის „ | — | — | — | 1375 | — | — | — | 439 |
| 4. ბასილეთის „ | 100 | 50 | 50 | 52 | 80 | 29 | 29 | — |
| სულ | 3440 | 1283 | 650 | 1427 | 426 | 29 | 29 | 439 |

მიწათ-მოქმედების მინისტრის ამხანაგმა წარმოდგენილი პროექტი დაამტკიცა.

—

მიწათ - მოქმედების სამინისტროს მოხსენდა დამფუძნებელი კრების წევრების ი. ტატიშვილისა და ა. სულაქველიძის მიერ მოხდენილი რევიზიის ოქმი სვირის სარაიონო კომისიის მოქმედების შესახებ, რომელსაც შემდეგი რეზოლიუცია დააწერა მინისტრმა ნ. ხომერიკმა სვირის აგრარული კომისია დაიშალოს. თავმჯდომარე, წევრები და მდივანი კომისიისა პასუხისგებაში იქნენ მიცემული კანონის დარღვევისათვის. უკანონო მოქმედებაში მონაწილე პირებს უფლება მოესპოს სახელმწ. ფონდიდან მიწების მიღებისა. მიწების დარიგების აქტები გადასინჯულ იქნეს, ვისაც მიწა არ ეკუთვნოდა და კომისიისაგან უკანონოდ მიიღო, მიწები ჩამოერთვათ და გადაეცეთ უმიწაწყლო გლეხებს. საყვედური გამოეცხადოს უყურადღებობისათვის ქუთაისის მაზრის საადგილ-მამულო განყოფილებას. ხოლო მაზრის ინსტრუქტორებს ვაძლევ მკაცრ შენიშვნას. მოქალაქე გიორგი ოთარისძე ამილახვარს დაუმტკიცდეს ნორმა გორის მაზრაში, სადაც სახლკარი აქვს, სვირის სადგურთან მდებარე მიწები ახლავე გადაირიცხოს სახაზინოდ და საიჯარო განყოფილება დაეპატრონოს მას. ტყის მცველებზე მიცემული ნორმები გაუქმდეს, თუ ისინი უმიწაწყლონი არიან. ყველა ეს განკარგულებანი შესრულდეს სასწრაფოდ. მიღებული ზომების შესახებ ეცნობოს დამფუძნებელი კრების აგრარულ კომისიას.“

## ს. დ.-პარტიაში

ანგარიში ს. ს. დ. მ. პ. ხაშურის რაიონული ორგანიზაციის კომიტეტის მოქმედებისა 1919 წლ. 1 იანვრიდან—1920 წლის 1-ლ ივლისამდე.

1919 წლის 20 ივნისის საზოგადო კრების მიერ მიღებულ და დამტკიცებულ ინსტრუქციის თანახმად შესდგა ახალი კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიაც შევიდნენ შემდეგი ამხანაგები: 1-ლი იაჩეიკიდან—თ. სხილაძე და კ. მეყანწიშვილი, 2 ე იაჩეიკიდან—თ. თელია, მე-3-ე იაჩ.—მ. ქყონია და პ. გაგნიძე, მე-4-ე იაჩ.—მ. მარიამიძე და ი. შათირიშვილი, მე 5-ე იაჩ.—ვ. ბასილაშვილი და ტრ. ცაგურია, მე-6-ე იაჩ.—ვ. მიქაძე, 7—იაჩ.—დ. თალაკვაძისა.

კომიტეტის შემადგენლობის კომისიებად დაყოფა. პრეზიდიუმი:—თავმჯდომარე—მ. მარიამიძე, თავმჯდ. ამხ.—მ. ქყონია, მდივანი—კ. ბასილაშვილი, ხაზინადარი ტრ. ცაგურია.

კომისიები. 1) საორგანიზაციო კომისია: კ. მეყანწიშვილი, ტრ. ცაგურია და თ. სხილაძე. 2) საფინანსო კომისია: მ. ქყონია, ვ. მიქაძე და დ. თალაკვაძისა. 3) საგამომძიებლო კომისია: ი. თელია, ი. შათირიშვილი და პ. გაგნიძე. 4) საპროპაგანდო კოლეგია: მ. მარიამიძე, ასკურავა და ან. ბიბილოვი.

კომიტეტს საანგარიშო წელში ჰქონდა 40 სხდომა ჩვეულებრივი და 5 სხდომა არაჩვეულებრივი, რომელსაც დასწრებიან კომიტ. წევრები: მ. მარიამიძე—42 სხდომას, ვ. ბასილაშვილი—44 სხდ., მ. ქყონია—7 სხდ. *) ი. თელია—37 სხდ., ტრ. ცაგურია—44 სხდ., თ. სხილაძე—43 სხდ., კ. მეყანწიშვილი—38 სხდ., გაგნიძე—34 სხდ., ი. შათირიშვილი—35 სხდ., ვ. მიქაძე—7 სხდ. **) დ. თალაკვაძისა—14 სხდ., დ. ჩიკვაიძე—34 სხდ., (მიწვეული იქნა მ. ქყონიას მაგიერ), ბ. ყაჭიეშვილი—30 სხდ., (მოწვეულ იქნა ვ. მიქაძის მაგიერ). მოქმედების დაწყებიდან კომიტეტს ჰყავდა სულ 503 ორგანიზ. წევრი, საანგარიშო წელში შემატა 93 წევრი, ამ ჟამად ჰყავს სულ 555 წევრი.

ორგანიზაციის წევრთა შემადგენლობა—ეროვნების, სქესის და წერა კითხვის ცოდნის მხრივ იყოფა შემდეგნაირად:

ეროვნება: 1 იაჩეიკ. 117 ქართვ., 1 რუსი, 3 სომეხი, 1 ოსი, 1 ფრანგი, 1 ჩეხი; 2 იაჩ. 54 ქართვ., 1 ბერძენი; 3 იაჩ. 70 ქართვ., 3 სომეხი; 4 იაჩ.—79 ქართვ. 1 ოსი; 5 იაჩ.—144 ქართველი, 1 სომეხი, 1 ოსი; 6 იაჩეიკა—38 ქართველი, 1 ფრანგი; 7 იაჩეიკა—29 ქართველი, 1 ფრანგი.

სქესი: მამაკაცი—565 წევრი, დედაკაცი—30 წევრი.

განათლება: წერა-კითხვის მცოდნე 473 წევრი, წერ.-კითხვ. არა მცოდნე—70 წევრი.

ორგანიზაციას ჰქონდა 7 ძირითადი წვრილი ერთეული—(იაჩეიკად წოდებული), რომლებიც მოწყობილ იქმნენ შემდეგ დარგებში: 1 იაჩეიკა—დეპოში 122 წევრით; მე 2 იაჩ.—რკ გზ. მემანქანეთა შორის—55 წევრი; 3 იაჩ.—ლიანდაგი—73 წევრი; 4 იაჩ.—სადგ. მოსამ. შორის—80 წევრი; 5 იაჩ.—კონდუქტორთა შორის—145 წევრი; 6 იაჩეიკ. ქ. ხაშურის დაწესებულებებში მომუშავეთა შორის—39 წევრი; 7 იაჩ.—ქალთა—30 წევრით. იაჩეიკებს ჰყავდა თავიანთი ხელმძღვანელი ბიურო, რომლებიც აწარმოებდნენ იაჩეიკებში ორგანიზაციულ მუშაობას: ჰკრებდნენ საწევრო გადასახადს, ადგენდნენ ცნობის ბარათებს, სარეგისტრაციო ფურცლებს და სხვა.

საანგარიშო წელს კომისიების შემადგენლობაში მოხდა შემდეგი ცვლილებები: საპროპაგ. კოლეგიის ასკურავას მაგიერ დაემატა—ი. თელია; საფინანსო კომისიას, ქყონიასა და მიქაძის მაგიერ დაემატა—ბ: ყაჭიეშვილი და ა. მაჭარაშვილი· პრეზიდიუმს:—მ. ქყონიას მაგიერ—დ. ჩიკვაიძე, თელიას მაგიერ, (ხაზინადრის თანამდებობაზე არჩეულ იქმნა)—ტრ. ცაგურია.

კომიტეტს ჰყავდა რაიონში პროპაგანდისტი ამხან. ან. ბიბილოვი, რომლის საშუალებითაც მოეწყო პარტიული ორგანიზაციები შემდეგ ადგილებში: გომში, წრომში და ატოცში; ეს ორგანიზაციები, პირდაპირ არიან დაკავშირებულნი გორის სამაზრო კომიტეტთან.

კომიტეტის ხელმძღვანელობით ორი არჩევნები ჩატარდა გამარჯვებით: პირველი—საქ. სახ. რკ. გზ. მუშა-მოსამსახურეთა საერთო ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატების არჩევნები და მეორე—ხაშურის რკ. გზ. პროფ. კავშირის რაიონული გამგეობისა.

**კომიტეტის იდეიური მუშაობა:** კომიტეტმა მოაწყო ქ. ხაშურში 5 საზოგადო კრება, რომელზედაც მოხსენება გააკეთეს შემდეგმა ამხანაგებმა: 1) ნ. იმნაიშვილი—„ომის. კრების მუშაობა“, 2) ის. რამიშვილი—„თანამედროვე მომენტზე“, 3) ნ. რამიშვილი „თანამედროვე მომენტზე“,4) გ. ფოფხაძე—„როგორი უნდა იყოს საქარ. მუშ. კლასის დღევანდელი ტაქტიკა“, 5) შ. მხეიძე—„საბჭოთა რუსეთის ცხოვრებიდან“ და 5 პარტიული საერთო კრება, რომელზედაც მოხსენება გააკეთეს შემდეგმა ამხანაგებმა: 1) ის. რამიშვილმა—„მომენტზე“, 2) ნ. რამიშვილმა—„სოციალური რევოლიუცია და მუშათა დიქტატურა“. დანარჩენ სამ კრებაზე კი—გაირჩა საორგანიზაციო ხასიათის საკითხები, როგორც არის: ს. ს.-დ. მ. პ. მეორე ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატების არჩევა და იქ წამოყენებული დღიური წესრიგის განხილვა; ხაშურის რკინის გზ. კავშ. რაიონულ გამგეობაში წევრების წამოყენება და სხვა.

პროპაგანდისტთა კოლეგიამ გააკეთა 9 მოხსენება: ი. თელიამ—„ორგანიზაციული საკითხები“—3—5 იაჩეიკაში და „ქალთა მდგომარეობაზე“—7 იაჩ. მ. მარიამიძემ—„მუშ. პროფ. კავშირების მნიშვნელობა“—3 იაჩეიკაში, „დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა“ 4 იაჩეიკაში—და ქალთა ორგანიზაციის მნიშვნელობა „მე 7-ე იაჩეიკაში“. ანტონ ბიბილოვმა—„ბოლშევიზმი და მენშევიზმი“—1-ლ იაჩეიკაში სამჯერ.

კომიტეტმა ცეკას განკარგულებაში გაგზავნა ახალციხის მაზრაში დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნების ჩასატარებლად 4 ამხანაგი: ა. მაჭარაშვილი, ასკურავა, ს. მელიქიძე და გ. მათითაშვილი.

კომიტეტი შეძლებისამებრ ეწეოდა იდეიურ მუშაობას სოფლადაც: კვირაუქმე დღეებში აწყობდა სხვადასხვა სოფლებში სასოფლო ყრილობებს, სადაც კომიტეტის მიერ გაგზავნილი ამხანაგები აკეთებდენ მოხსენებებს მომენტზე, უხსნიდენ რესპუბლიკის მდგომარეობას, ბოლშევიზმის მნიშვნელობას და მის მიერ გამოწვეულ ძმათა შორის სისხლის ღვრის საშინელებას და მოუწოდებდნენ მათ წესიერებისა და სიმშვიდისაკენ.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ის გარემოებაც, რომ სამწუხაროდ, კომიტეტის იდეიურ მუშაობაში დისონანსი შეჰქონდა კომიტეტის განკარგულებაში ინტელიგენტური ძალების უყოლობას და ზოგიერთა ამხანაგების გულცივობას—საქმისადმი.

კომიტეტმა მოაწყო 2 სადღესასწაულო და 1 საპროტესტო დემონსტრაცია: 1) ანტანტის მიერ საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის „დეფაქტოთ“ აღიარების გამო და 2) საპროტესტო დემონსტრაცია—ბათომის „პორტოფრანკოთ“ გამოცხადების გამო და 3) ბათომისა და მისი ოლქის გადმოცემის გამოხ...

კომიტეტმა დაამთავრა ძველი კომიტეტის მიერ თ. ქუმბურიძის ბროშიურის—„კრიტიკული, ანუ მეცნიერული სოციალიზმის“ დაბეჭდვა. კომიტეტი შეძლებისამებრ ავრცელებდა ძველი კომიტეტის მიერ დარჩენილ სოციალისტურ შინაარსის ბროშიურებს.

**კასის მდგომარეობა.** შემოსავალი: 1919 წლის 1 ივნისს კასაში იყო—188 მ, 35 კ. ყოველ-თვიური საწევრო გადასახადი და პარტიაში ჩასარიცხი (ერთდროული)—26,246 მ. 50 კ. წარმოდგენა-ლექციებიდგან შემოსული—36,317 მ. კომიტეტის მიერ გამოცემულ „კრიტიკული ანუ მეცნიერული სოც.“ ბროშიუროს გაყიდულ ნაწილისაგან—457 მ. საწევრო ბილეთებიდგან—500 მ. შემოწირულება—96 მ. 50 კ. სესხად—პაპავასაგან—400 მ. ჯამი 66,323 მ. 35 კ.

**გასავალი:** ძველი კომიტეტის ვალი—915 მან. 50 კ. ჟურნალ-გაზეთები—ბიუროსათვის—2183 მ. 50 კ. ბიუროს კანტორის მოხელეს —2,834 მ. 50 კ. საკანცელარიო ნივთები—4,220 მ. 25 კ., ვალი გადახდილი (პაპავას)—400 მ,, აფიშებისა და განცხადების დასაბეჭდი, გასაკრავი და წვრილი ხარჯები—2,831 მან., გვირგვინი—გარდაცვლილ გვარდიელებს—450 მან., დეპეშები: მისალოცი და სხვა ხასიათისა—711 მან., დღიური, ამხანაგებს კომიტეტის დადგენილებით და ხარჯი გაწეული ჩამოსულ ამხანაგებზე—5,380 მ., პროცენტები სამაზრო და ცენტ. კომიტეტს 1919 წლ. 2,650 მ., პროცენტები სამაზრო და ცენტ. კომიტეტს 1920 წლ. 4,500 მან. ჯამი—27,015 მ. 75 კ.

**ინვენტარზე გაწეული ხარჯები:** სურათები: ბებელის და კაუცკის—1,600 მან., პალატკები—ბიუროს ფარდებისათვის 10 ც.—500 მან., რემინგტონი (საწერი მანქანა)—4,550 მან. ჯამი—6,650 მან.

1920 წლის 1 აგვისტოს დარჩა კასაში 32·657 მ. 60 კ.

**კომიტეტის ქონება-ინვენტარი:** ბექდები 5 ც. 300 მ., ფარდები—პალატკების 4 ც.800 მ.. სტოლის საფრები პალატკების 3 ც. 1200 მ., პალატკები 5 ც. 2000 მ., სურათი კაუცკის (რამკით) 1 ც. 3000 მ., სურათი ბებელის (რამკით) 1 ც. 3000 მ, რემინგტონი (საბ. მანქანა) 1 ც. 20000 მ., გასაღებები 3 ც. 200 მ., სურათი მარქსის (რამკით) 1 ც. 8000 მ., შკაფი წიგნების შესანახი 1 ც. 2000 მ., მაგიდა საწერი 2 ც. 8000 მ., მაგიდა გრძელი 3 ც. 1000 მ., სკამები 4 ც. 1000 მ., სკამები (კრესლო) 1 ც. 600 მ. დროშა 1 ც, 1000 მ. ჯამი—63100 მან.

**გასასყიდი ბროშიურები:** მანიფესტი კომ. პარტ. 164 ც. 1640 მ., დემოკრატიული რესპუბლიკის 10 ც. 30 მ., ს.-დ. და მიწ. საკითხი 46 ც. 138 მ., სრარის მუშათა პარტია 3 ც. 9 მ., საფრანგეთის რევოლიუც. 58 ც. 580 მ. მეცნ. სოციალიზმი 1349 ც. 12235 მ,, საწევრო ბილეთები 428 ც. 2140 მ., ჯამი 2007 ც.—16227 მ.

**ქაღალდი საწერი:** თეთრი ქაღალდი 3 ოზმა 2000 მ. ალბომის ქაღალდი 13 გირ. 7250 მ. ჯამი 3950 მ.

ამ რიგათ, კომიტეტს საანგარიშო წლის ბოლოს აქვს ქონება: ნაღდ ფულად 32,657 მ. 60 კ., ინვენტარი 63,100 მ., ბროშიურები 14,667 მ., საწევრო ბილეთები 2140 მ., ქაღალდი საბეჭდი 3950 მ. სულ 116,514 მ 60 კ.

**კომიტეტი.**

*) რამოდენიმე ხნის შემდეგ, მ. ქყონია არჩეულ იქნა რკ. გზ. პროფ. კავშ. ცენტრ. გამგეობაში, რის გამოც კომიტეტის შემადგენლობიდან გამოვიდა.

**) გადავიდა თფილისში, რის გამოც კომ. შემადგ. გამოვიდა.

## მუშათა შორის

**გურიის** პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სხდომა შესდგა 21 ივლისს სხდომაზე გაირჩა შემდეგი საკითხები: 1) ძაფის სახვევი ფაბრიკის მუშების სამუშაო ხელფასის შესახებ. გადაწყდა ხელფასი განისაზღვრებოდეს შემდეგი წესით: 1) ძაფის მხვეველთ მიეცეთ დღეში 160 მან. 2) პარკის მხარშველთ-130 მან. და 3) დამხმარე—არა სპეციალისტთ, შედარებით უფრო მცირე წლოვანთ—100 მან. მუშების მიღება-დათხოვა შეადგენს კავშირთა საბჭოს გამგეობის უფლებას. ხოლო, როცა ამავე ფაბრიკის მუშები კავშირს დაარსებენ, ეს უფლება გადადის უკანასკნელის ხელში. 2) კლუბის გამგეობის წინადადებას ინტერპარტიული კლუბის კავშირთა ხელში გადასვლის შესახებ. საბჭო უარყოფს არსებულ, შეცვლილ პირობებში კლუბის გამგეობის წინადადებას და დასძენს, რომ თუ პირობები საბჭოსათვის უფრო ხელსაყრელად შეიცვლება, ის სიამოვნებით გადადგამს ასეთ ნაბიჯს და იკისრებს ამ რთული საქმის პასუხისმგებლობას. ჯერ-ჯერობით საბჭო განმეორებით სთხოვს კლუბის გამგეობას დაუთმოს მას ერთი ოთახი კლუბის შენობაში.

25 ივლისის სხდომაზე გამოტანილ იქნა შემდეგი დადგენილებანი: 1) მოისმინა რა ოზ. რაიონის კოოპერ. კავშ. საპარკის მუშების მოთხოვნილება, გამგეობა მიუღებლად სცნობს მუშების მიერ საბჭოსადმი ასეთ ულტიმატიურ ხასიათის მოთხოვნილების წაყენებას და წინადადებას აძლევს ხსენებულ საპარკის მუშებს აუცილებლად შეცვლილ იქნას მათი დადგენილება. რაც შეეხება ჯამაგირების მომატებას და სხვა მოთხოვნილებებს, ამ კითხვის განსახილველად გამგეობა იწვევს 27 ივლისს, საღამოთი საბჭოს კრებას, რომელზედაც მოწვეული იქნებიან აგრეთვე ორივე დაინტერესებული მხარეები. მანამ კი გამგეობა წინადადებას აძლევს მუშებს განაგრძონ მუშაობა.

2) გადაწყდა. მიეცეს წინადადება ძაფის სახვევი ფაბრიკის მუშებს შექმნან კავშირი და აირჩიონ გამგეობა, რომელიც უხელმძღვანელებს საბჭოს დახმარებით აღნიშნულ ფაბრიკაში მუშებს.

3) კოოპ. სასადილო „ძმობის“ მუშამოსამსახურეთათვის ერთდროული დახმარების მიცემაზე, ამავე სასადილოს განცხადების გამო, დადგენილია მოწვეულ იქნას ორივე დაინტერესებული მხარეები საბჭოს კრებაზე 28 ივლისს.

4) ნიკო ბასილიძის თხოვნაზე გამგეობა ადგენს: მიეცეს წინადადება დამქირავებელ ილიკო გოლიაძეს, დააკმაყოფილოს ბასილიძე ერთდროული დახმარების მიცემითა და სასურსათო ფონდში ფულის შეტანით, ან ამის ნაცვლად კანონით განსაზღვრულ პროცენტების მიცემით.

27 ივლისის სხდომაზე გადაწყდა: 1) კოოპერატიული სასადილო „ძმობის“ მუშა-მოსამსახურეთ მიეცეთ ერთდროული დახმარება თანახმად სატარიფო პალატის ინსტრუქციის მეცხრე პუნქტისა. აღნიშნავს რა იმ მძიმე მუშაობას, რომელსაც სასადილოში ადგილი აქვს, (დღე და ღამეში 14—15 საათის მუშაობა). საბჭოს შეუწყნარებლად მიაჩნია ეს მოვლენა და წინადადებას აძლევს სასადილოს გამგეობას, დაუყონებლივ შემოიღოს რვა საათის სამუშაო დღე, ხოლო ამ მიზნით დაწესებულ იქნას მორიგეობით მუშაობა, 2) საპარკოებში მომუშავეთა ხელფასის შესახებ დადგენილია: შეკრებილ იქნას ცნობები რესპუბლიკის მთავრობის სხვადასხვა რაიონის საპარკეებში მომუშავეთა ხელფასისა და მათი სურსათ-სანოვაგით დაკმაყოფილებაზე, ხოლო ამის შემდეგ მიემართოს აქაურ საპარკის მუშებს შრომის ჯილდო. 3) ძაფის სახვევი ფაბრიკის მუშებში კავშირი შექნა, რომელიც აკავშირებს 50-დე მუშა-ქალებს, საბჭოს სასიამოვნო მოვლენად მიაჩნია და ავალებს საბჭოს ერთ წევრს ხელმძღვანელობა გაუწიოს ამ ორგანიზაციას მასთან მჭიდრო კავშირის დაჭერით. დაევალოს ფაბრიკის მუშათა კავშირის გამგეობას, წარმოუდგინოს საბჭოს სია იმ მუშებისა, რომლებიც თავისი ეკონომიური მდგომარეობის გამო არ უნდა მუშაობდენ ფაბრიკაში, რათა მათ ადგილზე მიღებულ იქნან ისეთი პირები, რომლებიც იძულებული არიან დაქირავებული შრომით ირჩინონ თავი. პირველი დღის ნამუშევარის ქირის მიუცემლობის გამო დაევალოს გამგეობას, გამოარკვიოს, რამდენი უმუშავნიათ ამ დღეს მუშებს და შემდეგ ამისა აიძულოს ფაბრიკის პატრონი ქირის მიცემაზე. 4) მუშათა მაგიდის გამგეობის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ უკანასკნელად მიღებული ხორბალი ყოვლად უვარგისი გამოდგა. მაგიდის გამგეობამ შეუძლებლად სცნო ასეთი ხორბლის დაფქვა და გამოცხობა (რაშიც დაარწმუნა გამგეობა სანიმუშოდ გამომცხვარმა პურმა), და მარცვლად ანაწილებს წევრთა შორის, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევს მათში. 5) საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის დეპეშის გამო საბჭო ადგენს: ეცნობოს საბჭოთა ყრილობის პრეზიდიუმს, რომ საბჭოსაგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო წარმომადგენლის გაგზავნა შეუძლებელი ხდება.

საბჭოს მდივანი **ალ მენაბდე.**

## პროვინცია

**ს. ახალქალაქი** (გორის მაზრა) 12 ივლისს, ახალქალაქში ამხ. ის. რამიშვილმა მოხსენება გააკეთა. დიდ ძალი ხალხი მოგროვდა. მოხსენებიდან ხალხის წინაშე იშლება მთლიანი და ნათელი სურათი იმისა, თუ რა ვიყავით ძველად და რა ვართ ეხლა. მომხსენებელმა მოიგონა ჩვენი ჯარის და გვარდიის ბრძოლა, როგორც შინაურ, ისე გარეშე ფრონტებზე. ბათომის ჩაბარების აღწერის დროს ხალხის აღფრთოვანებას აღარ ჰქონდა საზღვარი. შინაური პოლიტიკის შესახებ ორატორი ამბობს: დამფუძნებელი კრება ახლო ხანში დაამტკიცებს კონსტიტუციას. მისი ძირითადი მუხლებია—დემოკრატიული რესპუბლიკა, საყოველთაო შრომის გამეფების პრინციპი, წოდების მოსპობა და სხვა: ლაპარაკობს აგრეთვე მიწის რეფორმაზე და შემდეგ ოსების აჯანყების შესახებ.

იყო შეკითხვები, რომლებიც უმთავრესად ეხებოდა მიწების ჩამორთმევა დარიგებას. ზოგიერთ მემამულეს უკანონოთ მიუღია ორი-სამი ნორმა. ამის შესახებ ეკითხებიან ახალ მიწის კომისიას, რომელიც გზადა გზა ასწორებს წინანდელი კომისიის შეცდომებს. ეს კომისია და თემის გამგეობა იმედოვნებენ, თუ ზევიდან გაუწიეს დახმარება, გამოასწორონ ყოველნაირი შეცდომა. გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „მოისმინა რა მოხსენება დამფუძნებელ კრების წევრის, ის. რამიშვილისა ჩვენი გარეშე და შინაურ პოლიტიკაზე, კრება იწონებს დამფუძ. კრების და მთავრობის მოქმედებას. ჩვენი გულწრფელი სალამი დამფუძნებელ კრებას, მის მიერ არჩეულ მთავრობას, ჩვენს გმირულ გვარდიას და ჯარს. ჩვენ ძმურ ხელს ვუწვდით საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ხალხს და ამხანაგურ სალამს ვუძღვნით საერთაშორისო მუშათა კლასს, რომელმაც პირველმა იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. გაუმარჯოს სამუსლიმანო საქართველოს და მის შემოერთებას თავის ღვიძლ დედასთან საქართველოსთან. ჩვენ ფიცსა ვსდებთ დავიცვათ ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე“.

13 ივლისს ამხ. ის. რამიშვილი აკეთებს მოხსენებას კავთისხევში. მიუხედავათ სამუშაო დღისა, დიდძალი ხალხი შეიკრიბა სკოლის ეზოში. მომხსენებელს ხვდებიან ტაშით. მოხსენების შემდეგ გამოდის ერთი გლეხი და ლაპარაკობს. სწავლა-განათლების, სამეურნეო იარაღების, გზების და სხვა გაუმჯობესობის შესახებ. შეკითხვები შეეხება მიწის რეფორმას. მომხსენებელი ესაუბრება შემკითხველებს და მიწის კომისიას ცალკე, რითაც ბევრი გაუგებრობა გაიფანტა. ამ შეკითხვებში ერთი რამ იყო ფრიად სერიოზული. მიწების დანაწილების დროს მხედველობაში ღებულობენ არა ოჯახის შემადგენლობის რიცხვს, არამედ—ოჯახს, როგორც ერთეულს. „მეც და იმასაც,—ამბობს ერთი გლეხი,—შეგვისრულეს სამ-სამ დღიურამდე, მაგრამ ჩვენ სამი ცოლშვილიანი ძმა ვართ ერთ ოჯახში და ის კი მხოლოდ სამიოთხი სულიაო. ჩვენ რომ გავიყოთ, გვექნება თითო დღიური (1200 კვ. საჟ.) და მას სამი“-ო. ასეთ განაწილებას ისინი სთვლიან უკანონოთ. შემდეგ იქნა გამოტანილი იმავე შინაარსის, როგორიც ახალქალაქში, რეზოლიუცია.

ს. ედი—ძე.

## წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო! ქვემორე ამის ხელის მომწერი თფ. მაზრის ერობის ერთი ხმოსანთაგანი, დაბეჯითებით გთხოვთ ნება დამრთოთ, რათა თქვენ პატივცემულ გაზეთის უახლოეს №-ში განვაცხადო საზოგადოების საყურადღებოთ ჩემი აზრი და უკმაყოფილება იმ დახასიათების შესახებ, რომელიც გამოთქმულია გაზ. „ერთობის“ 173 №-ში თბილისის მაზრის ერობის გამგეობის გამო საზოგადოთ და მისი წევრის ექ. ლომოურის შესახებ კერძოდ. რაც შეეხება გამგეობას, იგი თავის დადგენილებაზედ ალბათ თითონ შეეცდება გასცეს პასუხი, ხოლო ექ. ლომოურის მოქმედების გამო მე, როგორც ხმოსანს, ჩემ მოქალაქობრივ მოვალეობად მიმაჩნია გამოვსთქვა, რომ იგი სდგას თავის დანიშნულების სიმაღლეზედ, როგორც ფრიად ენერგიული, ნაყოფიერი და უანგარო საერობო მუშაკი, რომლის საქმიანობა საგრძნობ კვალს ამჩნევს ხსენებულ ერობის მოღვაწეობას, რის დასამტკიცებლათ ერთერთ საბუთად მომყავს შემდეგი ამონაწერი თბილ. მაზრის ერობის ხმოსანთა საბჭოს მე-VII ყრილობის დადგენილებისა.

ხმოსანი **ალექსანდრე არუთინაშვილი.**

—

ყრილობის რეზოლიუცია: „მოისმინა რა ყრილობამ გამგეობის წევრის ექიმ ლომოურის მოხსენება მაზრაში საექიმოსასანიტარო საქმის წარმოების შესახებ, ყრილობა დამაკმაყოფილებლად სცნობს ამ დარგში მუშაობას და გადადის მორიგ საკითხზე“.

—

ნება მიბოძეთ ულრმესი მადლობა გამოუცხადო მოქალაქე მ. დემინს, რომელმაც შემოსწირა საგანგებო ბათალიონის წიგნთ-საცავ სამკითხველოს 300 მ. ღირებული წიგნები.

სამკითხველოს გამგე: **დ. ორაგველიძე.**

რედაქტორი ლევან ნათაძე.


## განცხადებანი

### გორჯომში
ექიმი
### ბესარიონ ბაკოვი
თბილისიდან.
იღებს ყელის, ყურის და ცხვირის ავადმ. მისამართი გაიგება პარკში. (2554—10—1)

### დაიკარგა
საფულე (პორტმანი), რომელშიაც იყო 2 ათას მანეთამდე ფული და სხვადასხვა დოკუმენტები. მნახველს ვსთხოვ საფულე და ფული დაიტოვოს, ხოლო დოკუმენტები გამომიგზავნოს შემდეგი მისამართით: ამიერ კავკასიის ბანკი, არტემონ ლუკას ძე დუმბაძეს. (2555 1-1)

### განმეორებითი გამოცდები
### მათემატიკაში
და ენებში ვამზადებ მოწაფეებს
პლეხანოვის ქ. № 25 შესავალი ალექსის ქ. № 5, 9—11 ს. 4—6 ბინა ი. მაჩაიძისა. (2546—4—2)

ექიმი
### ნიკოლოზ მახვილაძე
განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (თ. 2528)

ექიმი
### ნ. ლ. ტურიაშვილი
იღებს საბებიო, ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევისა, შუადღის 1—2 და საღ. 4—5 ს. ჩერქეზოვის ქუჩაზე № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (თ. 2539)

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო გოსპიტალი—ექიმი
### ი. გ. ქუთათელაძე
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავათმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის (ქოთაოს) საპს ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჰიით ცხვრის სასულე—მილის ავათმყოფობას ვკურნავ Neimann-ის და Vessel-ის მეთოდებით. ყოველ დღე 3—6 საათ. ბელინსკის ქ. № 39, ბინა 2. (2010—15—1)

ექიმი
### ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). ნოვო ბებუთოვის ქ. № 5. (ცეცხლის მქრობელთა რაზმის ბინის ახლოს). მიღება დილით 9—12 ს. საღ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე. (1555—თ.)

### სამკურნალო
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
### მიხეილ გედევანიშვილისა
დილით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ვერაზე. (2458—თ.)

ექიმი
### კ. გ. ვართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (2264—თ.)

ექიმი
### ივ. ბოკერია
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141; სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ. ქირურგ., ქალის სნეულებანი და [illegible] 1—2 ს. და 5—6 საათამდე. ტელეფონი 5—97. (1835—თ.)

დოქტორი
### გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა—[illegible] და გულისა. იღებს ახალ რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. (1790—თ.)

ექიმი
### ე. ი. კალანდაძე
ღებულობს. შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე ვენერიული, სიფილისით (წამ. „606“ და „914“), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. (2446—თ.)

ექიმი
### მ. ა. შაფრანი
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალებს 4—5 ს [illegible] მხოლოდ დილით. მისამართი: ოლღის ქ. № 33. (1288 25—4)

ექიმი
### ა. დ. პეკელია
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 4—6 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 1838 თ.

ექიმი
### ლ. ა. სარალიძე
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდის ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ტელეფონი 3—19. ავჭალის აუდიტორიის ახლო (2383—თ.)

ექიმი
### გენრიხ ისააკის ძე ვოლოხი
(ქუთაისიდან)
ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (1741 თ.)

ექიმი
### ბ. ი. ოქროპირიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი)

ექიმი
### სოლომონ ისააკის ძე ვოლოხი
(ქუთაისიდან)
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებ. ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. ტელეფ. 10—55 (1742—თ.)

## — იყიდება —
## ელექტრონის სადგური
წისქვილით პ. კალატოზის და ე. კვირიკაშვილის ქალ. ზესტაფონში, ადგილზევე წარმოებით. მოლაპარაკება შეიძლება იქვე. (2550—3—1)